

ისტორიუმი აღწერა

ლირსთა ხსომისა შემთხვეულებათა საქართველოსა შა აღწერი-
თა ზნეობათა და ჩვეულებათა მსახლობელთათა მის ქვეყნისა,
თხზული საქართველოს მეფის ირაკლის ძის გახტანგის მიერ.

გამოცემული სარგის კაკაბაძის მიერ.

14.07.5
4

თ ფ ი ლ ი ს ი
ს ფ ი ა მ ი ს ა მ ი ს
ს ა მ ი ს ა მ ი ს ა მ ი ს
1914

წინამდებარე შრომა გახტანგ ბატონიშვილისა წარმოადგენს ფრთად შემთხვებულ ისტორიას საქართველოსას დასპამიდგან გიორგი XIII-მდე. ცნობები, ფრთად მთელედ მოუვანილი, შედგენილია კანკების მიხედვით და არაფერდ საინტერესოს არ წარმოადგენს. სამაგიეროდ ფრთად საინტერესოსა შეცნიერებულის მხრივ საქართველოს ზემოქმედებათა აღწერა რომელიც ბატონიშვილს გახტანგს ჩაურთავს თავისს ისტორიაში. საინტერესოა აგრეთვე თემურაზ II და ირაკლი II-ს მეფობის აღწერა.

ბატონიშვილი გახტანგ დაბადა 1762 წ., გარდაიცვალა რუსეთს 23 ოქტომბერს 1814 წ. ეს მისი შრომა დაწერილია უნდა იქნას რუსეთში, მაგრამ, როგორც სხასს, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც იმერეთის სამეფო მთხუთბილი არ იყო, წინამდებარებული გახტანგი თავისს ისტორიაში ამ ამბავსაც მოიხსენიებდა. ამის მიხედვით გახტანგის ისტორია დაწერილია უნდა იქნას მე-XIX საუკუნესაწევისში, არა უგვიანეს 1810 წლისა.

ეს წერილია იბეჭდება მართლწერის დაცვით (ნიშნების გარდა) წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთსაცავის სელიაწერის № 3667 მიხედვით.

ეს სელიაწერი წარმოადგენს თვით გახტანგ ბატონიშვილის აუტოგრაფს.

შემდგომად მისა ამა გართველთა იყო ქართლოს და ამა ქართლოსის შთამომავლობისაგან იქმნა ვინმე მფლობელად სა-
ქართველოისა, გარნა არა სახელითა მეფობისათა.

3 პირველად უკვე მამა ქართველთა იყო ქართლოს და ამა ქართლოსის შთამომავლობისაგან იქმნა ვინმე მფლობელად სა-
ქართველოისა, გარნა არა სახელითა მეფობისათა. ხ' შემდგო-
მად მისსაცა იყვნენ რაოდენიმე მფლობელნი. ვიდრე მეფისა
ფარნავაზ პირველისა იყო ქართველთა სარწმუნოება შემოქმე-
დისა მღვთისა აღსარება და თაყვანის ცემა და შემდგომად მი-
სა პატივს სცემდიან საფლავსაცა ქართლოსისასა, ესრეთ რო-
მელ იქვნდათ საფიცრადცა იგი. ზნეთ იქვნდათ პირმტკიცეობა
მტრერთა თვისთა ზედა, ერთობა, გარდა მფლობელისა თვისი-
სა სხვათა უმონეობლობათათვის მტკიცედ და მხნედ მდგომა-
რეობა, ერთისა ცოლისა ქრმობა და მოიყვანიან ცოლად თვი-
სად თვისთა თანასწორთა ქალნი, ესე იგი თავადთა თავადისა
და აზნაურთა აზნაურისა და იყვნენ მრავალთა წელთა წესსა
ამას ზედა.

ხ' შემდგომად დაივიწყეს თვისი შემოქმედი ღმერთი და
თაყვანისა სცემდენ მზესა, მთოარესა და ვარსკვლავთა და ეგ-
რეთვე კერპთა. შემოერთათ გარეგანიცა ერნი, ესე იგი სპარს-
ნი, თურქი, ასურნი, ბერძნენი და შემდგომად ურიანიცა და
იტყოდიან ესოდენითა ენითა. ხ' იტყეიან რაოდენთამე წელ-
თა შემდგომად ამისა ალექსანდრე მაკედონელისაგან სპარსთად
მიმავლობისა ანუ სპარსეთით მომავლობისა ეამსა დაპყრობასა
მისგან საქართველოისასა და მოწყვეტისა ყოველთა საქართვე-
ლოსა შინა შემოსრულთა უცხოთა ხალხთასა, გარდა ურიათა,
გარნა ურჩითა ხალხთა მუნებურთასაცა, ვითა მამისა და ბიძი-
სა ფარნავაზ პირველისასა და დადებასა რჯულად ქართველ-
თათვის შემოქმედისა მღვთისა თაყვანის ცემისა და კერპთა მზი-
სა და მთოარისა და ვარსკვლავთა პატივის ცემისა და ამა
ალექსანდრესაგანვე დატევებასა თავად საქართველოსა ზედა კა-
ცისა ერთისა რაოდენითამე, მხედრითა, რომლისა სახელი აზონ.

არამედ დაატებინა რჯული იგი ქართველთა ხსენებულმან
 აზონ და აღმართნა კერპნი, უწოდა სახელიცა კერპთა შათ
 ესე იგი გაცი და გაიმ და ათაუვანნა ერნი სრულიად საქარ-
 თველოსას. იყო ვინმე ჭაბუკი სახელით ფარნავაზ ტომი მფლო-
 მელთავე საქართველოსათა და დედა მისი იყო ასული სპარს-
 თა ჩინებულთაგანისა ვისიმე, რომლისასაცა იტყვიან დარიოზ
 მეფის ასულობასა. ამან აღზარდა ფარნავაზ ძე ოვისი ფარნუ-
 ლად სპარსეთისა შინა და ვითარ იქმნა ოცისა წლისა ფარნა-
 ვაზ, წარმოვიდა სპარსეთით და მოვიდა მცხეთად, არამედ ფა-
 რულად შიშითა აზონისათა და ნაღირობასა შინა კლდეთა
 შორის ტფილისისათა ჰპოვა მრავალნი უნჯნი ოქროსა და
 ვეცხლისა დამალულნი. ხ' წარმოიხვნა იგინი და კერძოთა მე-
 გრელთასა იყო ვინმე თავადი ჩინებული სახელით ქუჯი, მის-
 ცა ამას მრწემი დაი თვისი ცოლად და შეიკრიბა ლაშქარი
 უნჯითა მით და ბრძოლა ჰყო აზონისა და ყოველთა წინა-
 აღდგომთა თვისთა და სძლია შათ და მოკლა აზონ და დაიპუ-
 რა აფხაზეთითგან ვიღრე დარბანდამდენ და იწოდა მეფედ.
 თუმცალა იყო უწინარეს ამისაცა დროსა მფლობელთასა, გარ-
 ნა ამან უშერეს კეოლად განავო წესნი მეფობისა. ხ' ვინად-
 გან არა ესევდა დამბადებელსა, რასაცა ესვიდა, პატივსცა მას
 და აღმართნა კერპნი და შემქო იგი ძეირფასად და ჰყო კერპ-
 თა მღვდელთა პატივნი და რიგნი ცალკერძ ვითარცა სული-
 ერთა და ცალკერძ თავადთა, აზნაურთა და სხეათა. ხ' თავადი
 უნდა ყოფილიყო ტომი ქართლოსისა და გარდა ამისსა უნდა
 ქონებოდა მას ციხე და ქალაქებრი რაიმე დაბა და მამული
 ჩინებული და თვინიერ ამისსა არ ისახელებოდა თავადად. ხ'
 აზნაურთა უნდა ჰქონდა სასახლე ჩინებული და ეგრეთვე დაბა
 ანუ სოფლები და თვინიერ ამისა არა იწოდებოდა აზნაურად.
 ხ' ვაჭართა პატივი იყო აზნაურთა ქვემორე და შემდგომად ამი-
 სა მსახურთა მეფისა გლეხთა ძეთა და შემდგომად ამისა ჩინე-
 ბულთა გვამთა მსახურთა და შემდგომად ამათთა მუშაკთა
 გლეხთა. ხ' ლაშქართა წესი იყო ესრედ: ჰყავანდათ ჯამიგი-
 რით სანიადგოდ სპა შეკრებილი მეფეთა ვიღრე სამეოცდათი

ատասալմած, ուզեմը պարունակութա և սեցանութա սանութեան ուզեմն գո-
նովուն, զահնա արա սանութագութ շեյքրեծուն, արամեծ մոռոց
տարութա գլուխութա և մուշիռութան շամած. ոյս զանութուլ լա՛-
յիրածաս նոնա մեցրութա ոտե ցշնճած; յեց օցո մեժոնաց և
մեժոնաց ուզեմն սրուլութ տալութեալուն և մեծար մուսո. ե՛
մեմարչազնեց սրուլութ մեջրետո, աղեած չոյնութուրտ. ե՛ մեմար-
սեյնեց յանու և չպահճատ ցշնճած ամատ տացած տուռ մեյ-
ճարտ մտացարո. ե՛ սանութա ուզութ մեյց և տալութ յարտպալ-
նու և սուրութ չամացուրութ գանդութա մեցրութա. Մեմարչամած
զանութուլ սանութասատաւ հառած մեմարչա պալութ ուզեմն մեյցուն
լա՛յարտ մուզնութ միցայսաց ամուսս ոտե ցշնճատ չպահճաւ մեցր-
ութա, զահնա արլարա մեմարչա պալութ ուզեմն չամացուրութ մեցր-
ութատա պալութ, արամեծ աջուղութ անց პարունակութա հա-
մելութա ուզեմն մարտական պարունակութ մեյցուս, յեց օցո մեյցուս յարտ-
լութասա չպահճատ արացուրուն, յաեցութասա եսուելուն և մեմա-
րչամած սուրութ տաշնո, ե՛ մեջրետութասա հայութուն. ե՛ մեյճարտ-
մտացարտ մատ այցն ութ գրութա տցուռ և մեյցուս որու և
ուզեմս պալութ մուլութ մերերտ չեւճա համելման պալութ պալու-
ս կապո, մուրտացու տացու մուսո մեյցուս. ե՛ մեյցութ մուսութուն չուլ-
ճու մեյցութա. ե՛ սանութա այցն ութ սույտան, յեց օցո
հասաւմելու չայցու հյունութ մուխարաճ պալութ ուզուն, յեց օցո
չայցրճս նշուրցս և չայցրճս մուսայրացն հյունութ, մեցավսաւց
ամուսս սամարյալուն չայցրճն ուրունու, եմալնու, եանչալնու, նշ-
ճու, եսերու և մշցուլճութարնու. ե՛ ուզեմն ուսարնու մեցրութ ութ-
տա նագորտատցու սեցա և ացրեց նշուլութատցու սեցա և սա-
մարնու սեցա. ե՛ նշուն սամարտալութատցու ոյս սուսելու, եմալու,
նանու, մլուլարյ և գուլու. սուսելուս սուշուլճութ, ուզեմ սուշու-
մա պայլուս զոնմե նշուրու. մեյցուսացան նշուրուսեյճութ անց սույ-
գուլութ անց პարունակութ անց սեցութ հառամե პարույտ և
գարճա ամուսս մշցուլճու օցո տանամճած ոյս, հատա լայսրա
մշցուրութ პարունակութ տցուրութ անց սեցութ յանեճութ հա-
տամե პարույտամեծք մշցուրութ մուսուսատա սուսելու. ե՛ ու սու-
յցման պայլուս սույգուրութ անց սուսելու և տցութ գանո-



ეროვნული
შემდგომიანი

ძის მამულისაგან რაოდენსამე ხანსა. ეკრეთვე სასძლოთა წირთ-
მისა ანუ დატევებისათვის ჩინებულებისამებრ დაუურვიან სისხ-
ლი. ხ' ხმალი მეფეთა ღალატისა ანუ კერპთა ანუ შემდგომად
ქრისტიანობისა ეკლესის განმკერქელთათვის. შეწამებელსა და
შეწამებულსა ალოცებდიან სამ დღეს. შემდგომად შესკურვი-
ლიან ყოვლითა საჭურველითა და შესხიან ცხენთა ზედა და
მისცემდიან თითოსა ცხენოსანსა კაცსა უსაჭურველოდ თვი-
ნიერ მათრახისა, რომელთა უწოდებდნ მემათრახედ. მიგზა-
ნიდიან ასპარეზად და იწყიან ბრძოლად შეწამებელმან და შე-
წამებულმან და მემათრახენი იგი ეტყოდენ თვისსა გამსა სა-
ჭურველისა ხმარებასა და რომელიცა ჩამოვარდის იქნებოდის
მტყუანი. ხ' დასჯა მისი იქნებოდა ანუ სიკვდილით ანუ მო-
კლებითა თვალთათა, ანუ მიხმითა მამულისათა. ხ' შანთი
ქურდათვის ესრეთ, რომელ გაახურიან სახნისი ვითარუა ნა-
კვერცხალი და დასდგიან მაღალსა ზა რასმე, რათა მაღლიად
შედვას ხელი ქვეშე მისა და დასდვიან შეწამებულსა ტილო
ანუ ქაღალდი ხელსა მისა. მივიდის იგი და აიღის სახნისი,
წარდგის სამი ბიჯი და გარდააგდის. მასვე წამსა შეუხვევიან
ხელნი სამს დღემდინ და შემდგომად სამისა დღისა განუხსნიან
და უკეთუ დაუწვავი იქნებოდა, იქნებოდის მართალი და უკე-
თუ დამწვარი, მტყუარ. ხ' მდუღარეულა ესრედ: აადუღიან წყა-
ლი ქუაბასა შიგან, ჩააგდიან მცირე რკინა მას შინა. მოვიდის
შეწამებული შიშვლისა მკლავითა და აღმოილის რკინა იგი და
წამსავე შეუხვევიან. ხ' ესეცა, ვითარუა შანთისა, დამწრობისა
და დაუმწრობისა დააჩნევით იქნებოდის მტყუარ და მართალ.
ხ' ფიცი იყვის მამულის ცილებისათვის, მცირე ქურდობისა-
თვის და სხვათათვისცა. დააფიციან მოწმით რაოდენიცა შეხ-
დისთ. ხ' ავაზაჟთა და ქურდთა ერთისა წილ შეიდი მიაცემი-
ნიან და უკეთუ ვინმე მესამედცა ჰყვის, მაშინა აღმოხდიდიან
თვალთა ანუ მოკვეთიან ფერხნი და უკეთუ ვინმე იხადის მა-
ხეილი მსაჯულსა ზა ანუ წარჩინებულთა გვამთა, მოკვეთიან
ხელნი. მოხელენი იყვნენ ესენი: პირველად სპასალარ გინა
უპირველესი მხედართმთავარი. ესე იყო უხუცეს ყოველთა

ერისთავთა ზა და ყოველთა სამხედროთა შოხელეთა ზა და
 ესევ იყო ყოველთა მოთათბირეთა ზა. უპირველეს ესე შეკ-
 რებდა ლაშქართა და ხარქსა სამეფოსა ერისთავთა მიერ ყო-
 ველსა საბრძანებელსა შინა. შემდგომად ამისსა იყო ერისთავი.
 თანამდებობა ერისთვისა იყო ესე, ომელისუა რომელი ადგი-
 ლი აქვნდათ მათ მიბარებულ მეფეთაგან საერისთოდ, ვითარ-
 ცა ღუბერნატართა ღუბერნია, ვითა იყო ხოლმე სამეფო სა-
 ქართველოისა განყოფილ საერისთოებად, ვითარცა განკუ პირ-
 ველმან მეფემან ამან ფარნავაზ საქართველო ცხრად საერის-
 თოდ, ესე იგი ცხრად ღუბერნიად და მოურნეთა მათთა ვის-
 და მისცა, მიბარებულ ჰყო განყოფით ადგილნი ესე, უწყოდა
 ერისთავად. ადგილთა ამათგან მოკრევდენ სამეფოსა ხარქსა
 ერისთავნი და მიაბარებდენ ზემოხსენებულსა საარსლარსა ანუ
 უპირველსა მხედართმთავარსა. ლაშქარნი მუნებურნი იყვნენ
 ხელთა ქვეშე მათთა და ურთიერთარს მედავეთა ზა მუნებურ-
 თაცა აქვნდათ ნება სამართლის ქმნისა. ხ ერისთავად დაი-
 დგინდოდნენ მეფეთაგან თავადნი და წარჩინებულნი გვამნი
 შეცვალებით, ვითაცა სხვანი მოხელენი. შემდგომად ამისსა იყო
 აბრამადი ანუ სალოთხუცესი. ამისი თანამდებობა იყო მოურნე-
 ბის სამეფოისა სახლისა შემოსავლისა და გასავლისა მსგავსად
 სხვათა სამეფოთა მეფეთა სალოთხუცესისა. შემდგომად ამისა
 მონათა უხუცესი. ამის ხელსა ქვეშე იყვნენ ჯამაგირით მყოფ-
 ნი სპანი. შემდგომად მანდატურობულესი, ესე იგი ღენარალ-
 ატუტენტი. ამის ხელსა ქვეშე იყვნენ მანდატურნი, ბოჭო-
 ულოთხუცესი და ბოჭოულნი და შეკრიბლობისა დროსა მსხლომ-
 სა ანუ სუფრასა ზა იდგის მეფის წინ კვერთხით და ეგრეთვე
 უძლევის წინ დროს სვლისასა. მეკურქლეთ უხუცესი. ამის ხელ-
 სა ქვეშე იყო საჭურქლე და საუნჯე მეფისა და მას შინა და-
 წესებულნი. მსაჯულთუხუცესი. ამის ხელისა იყო ყოველნი მსა-
 ჯულნი, ბჭენი და ხევის თავნი, ომელნიცა იყვნენ მსგავსად
 სუდიათა. მეჯინიბეთუხუცესი. ამის ხელისა იყო მეჯინიბენი,
 ჯინიბენი, უნენი და ჯოგნი. ბაზიერთუხუცესი. ამის ხელისა
 იყო სრულიად ნადირობასა შინა სახმარნი მფრინველნი, ბაზი-

ერნი, მეძაღლენი და ყოველნი სანადიროთა მეფისათა მცველნი. ეჯიბი. ამის ხელისა იყო ყოველნი ტაძრეულნი მეფისანი და თავის წინაობასა გინა მეფისასა ესე იგი მარტოდ მყოფობასა ვერავინ შევიდის მეფისად თვინიერ მისსა და მას ეტყოდენ დარბაზის ერნი, რაიცა სწადდათ, მეფესა მოახსენებდა. ეზოს მოძღვარი. ამის ხელისა იყო უი ხარჯი და წარსავებელი და რიგი მეფის ტაბლისა და სანოავისა. ჩუნჩერახი. ამის ხელისა იყო თუშმალი, მზარეულნი, მგლსანნი, ბუკთა და ტაბლაკთა მცემელნი. მეღვინეთუხუცესი. ამისი თანამდებობა იყო, რაიცა მეფესა საკუთართა საქმეთა თვისითა ზედა ანუ ქველის საქმეთათვის აქვნდის გარდადებული თეთრი ანუ ლარნი, მოურნეობა მისი. მესტუმრეთუხუცესი. ამის თანამდები იყო მოურნეობა სტუმართა, ესე მრიუშვევდა დარბაზის ერთა დროსა ნადიმისასა მეფისასა. მდივანნი. ესენი, რომელნიც იყვნენ მეფისა თანამყოფნი, იყვნენ პატივითა უმაღლესნი და სხვათა ზემოქვენებულთა რომელთამე მოხელეთა თანა მყოფნი პატივითა უმცირესნი. ფარეშთუხუცესი. ამის ხელსა ქვეშე იყო ფარეშნი, ნოხნი, კარავნი, ოთხნი, მნათენი და ყოველნი საგებელნი და დალიჭნი, სრაფარდაგნი და მნენი მისნი. ტაბლისა დროსა ისხდიან სკამთა და ისე მიიღიან ნოაგნი. ერთმანეთისა პატივის ცემა და უმცროსთაგან უფროსთან მყოფობა იქმნებოდის ქუდის მოხდით.

ხ' ესე წესი თუმცალა იყო უწინარესუა ზემოთქმულისამებრ, გარნა ხსენებულმან მეფემან ამან ფარნავაზ უფროსად კეთილ შვენიერად განწყობილ ჰყო. ხ' ვინადგან უწინარეს მეფობისა ამისსა მრავალთა უცხოთა თემთა შემორევით განრყენილ იყო ენა ქართული, ამანვე განშვენებულ ჰყო და შეაწყო სინარნარეს ენისა. უწყოდიან კერპთა დღესასწაულობაცა. ესრეთ უამსა დღესასწაულისა მათისასა განვიდის მეფე ყოველითა ჩინებულითა და ერითა თვისითა დიდითა გამომჩევენებითა და პირველად თაყვანი სკიან კერპთა და შემდგომად მისსა შექმნიან ნადიმნი დიდითა განცხრომითა და როკვითა სამ დღე და შემდგომად მოიქციან თვისოთვისად. ამან მეფემან ფარნავაზ

იმედა წელი სამოცდახუთი და განვიდა ამიერ სოფლით წელსა
 დასაბამითგან სამიათას შვილს თორმეტს. თუმცა მრავალნი
 მეფენი იშვნეს ნათესავნი ამისნი, გარნა ვინადგან იყო აზრი
 ჩემი ხსოვნისა ლირსისა საქმეთა აღწერად, ამისთვის სხვათა რა-
 თამე დადუმება იყო თანამდებ. წელსა ქრისტესით ორის სა-
 მოცდახუთსა იქმნა მეფედ საქართველოისა მირიან პირველი.
 ხუთი დროსა მეფობისა ამისა წელსა ქრისტესით სამას თოთხმეტს
 მოვიდა წმინდა ქალწული ნინა და განათლა ყოველი საქართ-
 ველო ნათლითა კეშმარიტისა სარწმუნოებისათა და თვით მე-
 ფემანცა მირიან ნასელ იღო და ყოველთა ქართველთა ხელი-
 თა ევსთათი ანტიოქის პატრიარქისათა, რომელიცა აღრაცხილ
 არს ევსთათი რიცხვთა შორის სამას თვრამეტსა მიკიელთა მა-
 მათისა. ხუთი წმინდამან მეფემან კოსტანტინე ქამსა შა მირიანი-
 სასა პპოვა ცხოველს მყოფელი პატიოსანი ჯვარი უფლისა
 მღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იქსო ქრისტესი. ხუთი საუფლო-
 სა ფერხისა ფიცარი და სამსპეციალი საუფლო წარმოუგზავნა ამა
 მირიანს კეისარმა კონსტანტინემ და მოსწერა დიდ სიყვარუ-
 ლიანი ეფისტოლე და შელოცვა და მხიარულება ქრისტიანედ
 მოქცევისათვის და ნათლისლებისა და იქმნა ამათ შორის მშვი-
 დობა და ერთობა დიდი. ხუთი და რიგნი ლაშქართა ანუ
 სამეფოსა კარისა ანუ სხვათა რათე იყო ეგრეთ, ვითარცა
 ზემო აღვწერე. გარნა ვინადგან განათლდა ნათლითა ქრისტი-
 ანობისათა, სადაცა იყო კერპთა სადღესასწაულონი, აღაშე-
 ნეს მუნ ამან და ამისთა შემდევთა მეფეთა ეკლესიანი და დღე-
 სასწაულობდიან მუნ ეკლესიათა მათ დღესასწაულთა ქებითა
 და დიდებითა მღვთისათა, სიმღერითა და განცხრომითა.

ხუთი წლის მოქცევისა ესე იგი იანვარს პირველს იყო წე-
 სი ესრედ: უწინარეს შევიდეს ერთი ვინმე არქიერთავანი სამ-
 ღვდელოთა კრებულითა სასახლისათა მეფისა და დედოფლისა
 თანა და მიულოცვიდის მათ ჯვარსა და ხატსა და სამკაულსა
 რასმე მათსა და მასთანავე შაქრით ზავებულს რასმე ნოაგსა.
 ხუთი შემდგომად სრულიად თავადნი და დარბაზის ერნი და მო-
 ხელენი. ხუთი მოხელენი თვისთა ბარებულთა, ესე იგი ბაზიერთ-

Մեղքարդյունսա անց չարևա Մեսացյարած մոշածմուլսա, մյ-
 ջոնօծետ Մեղքարդյունսա Կեցնսա Մեյզիթմուլսա ովհու ուժալուտա დա
 յշրջուց Սեյանը ուշուտակա ուշուտակա ուշուտակա մո-
 արտցուան ուսարո անց Ծպագա დա Մուլուգուան Լուրպագուա ամուտ:
 Մուշալոյամոյէր յուս լմերտման մյուսնա ուշուտակա ուշուտակա մո-
 արտցուան ուսարո անց Ծպագա գանցրտենս մյուսնա ուշուտակա ուշուտակա:
 Ե՛ ուշ-
 նո ուշուտակա յունմ Մուլուգուան լուրպագուա արա կյուրուտա დա Մե-
 ջուցամած մոլուցուա Մյունուան նաժումո ճուգուտա գանցերումուտա:
 Ե՛ ճամերս մաս լուրպագուա մատ մուշալուցուա յանուան ծանուրու մյ-
 ուցուա, ճախունու լուրպագուա ոյո Տալամուս յամսա դա օլուցուա օդցո-
 լո ոյո հումելուտամց նաժումուտա դա ճուլուս մուցուման մուման
 համուշունու յարու դա ամուշպատուուս մաս Շոնա: Մյուշու մյուս
 լուրպագուա Քյու Քյարինեցն մուլուցուա ուշուտակա դա մուցուան մյուն:
 Մա-
 Շոն ցամուշունու մեցուն ոյո դա ճաշուշունու ուսարտա Տրուլա դա
 Մյուջուցամած նաժուրունու մուս Մյուրուգուան սանու ուշուտակա մեռա-
 հուլունու: Վյուս յաց Վլուս մոյշուցուա ոյո ամուշերուց, վուգու
 գուրումց յանանայն լուրպագուա մյուսնա ուշուտակա լուրպագու-
 ցուա դա նաժուրունու ցամուշունու: Ե՛ յոնացգան Մյենցու ա՛ եւ-
 նեցա նաժուրունու, ամալ Մյեսացյարած վրացի Տեցատա Խեցունատա
 Քյու յանանարց նաժուրունու ալիշրա: ուցուսպա յենատ մյուցու
 նաժուրունու յե ցարու, մոյշուցուան յանուն Տամյուրուտագան մեցա-
 սած Տամարտա լույսարտա դա մուցուան մյուն հումելուսպա ալ-
 ցուլուս ոյմնեցն նաժուրունու յաց: Քյարցան նաժուրունու մոնցուրուս
 մաս Շոնա յարու դա մոյշուրուցն մոնցուրուս մաս դա ճաշուցե-
 ցն մեցաց յարու համցուրտա ալցուլուտա դա ճարինուան նաժուր-
 նո մատ Մյու: յամսա ցանտուանուսա մուցուան մոնցուրունո, մյուս
 դա մատանա Տեցան յարցած Մուշուրուցն ուսարտա Տրուլուս,
 Ըալիշունու Տրուլուս դա եռու նաժուրտա: Եռու նաժուրու ոյո ոյ-
 ցուս յանանարց դա Մյուջուցամած նաժուրունու մոարտցուան մյուցուս
 մոյշուրունու ուշուտակա դա ալիշրեցն նուցուրունու հուլուց, յուս հա մոյշ-
 լու դա Մյուջուցամած ամուս ունաժարուան Ծպագա յարց: Մյուշուն-
 ցն յանանարց յարու Ծպագա դա եմոնցունուտա մատուտա ցամյուտեալ-

ნი მხეცნი და ნადირნი განვიდიან მინდორთა და მუწ დახდო-
მილთა ცხენოსანთა მონადირეთა დაუწყიან ხოცა მხეცთა და
ნადირთა. ხ' ნადირობა ესე გვარი არღარა ყოფილარს შე-
მდგომად მეფისა თეიმურაზ მეორისა. ხ' ინადირიან სხვა-
გვარუ მხეცთა და ნადირთა, ეგრეთვე მფრინველთა და
თევზთა.

ხ' დიდა მას და ყოვლად ბრწყინვალესა დღესასწაულსა
დღესა ოლდგომისასა შემდგომად მისა, ოდესუ შემოლებულ
იქმნა საქართველოსა შინა თოფნი და ზარბაზანნი, ღროსა ცი-
სკრისასა იქმნებოდა სროლა ზარბაზანთა და ცისკარზედ მობ-
მა წირვისა და შემდგომად წირვისა მიიღებდიან მეფე და ჩი-
ნებულნი მცირედ საუზმესა შესაფერსა მის დღისასა და შემ-
დგომად გავიდიან ასპარეზსა მეფე და წარჩინებულნი და მრა-
ვალნი ერნი, დასვიან ყაბახსა ზედა ოქროსა ანუ ვეცხლისა
ჭურჭელი რაიმე და უწყიან ჩინებულთა და უფროს ჭბუკთა
ისახთა სროლა ეს გვარად: ცხენსა ისხდებოდენ კარგად და-
კაზმულსა, შემოიცვებდენ მარცხენესა მკლავსა მშვილდესა და
წელსა ჰქონდისთ ისარი კოდალი და ოდეს დასძრამდენ გასა-
ჭენებლად ცხენსა, მაშინ გამხადებდენ მშვილდ ისარსა სასრო-
ლად და მცირეს ხანს გაატარებდენ დაწულს მშვილდსა. მი-
უვანდათ ცხენი ფიცხითა ჭენებითა და ოდეს გააცილიან მუხ-
ლი ყაბახსა, მაშინ გარდეხარიან მარჯვენესა მხარესა და ეს-
როდიან ისარსა ჭურჭელსა. მას, რომელიცა იყვის ოქროსა
ანუ ვეცხლისა ყაბახსა ზედა და რომელმაც ჩამოაგდის, მიარ-
თეს მეფესა. ხ' მეფემან მიუბოძის ჯილდო და ჭურჭელიცა
იგი იყვის მისი. შემდგომად ამისა იქმნებოდის ბურთობა ეს
გვარად: გაყოდენ ორად ცხენოსანთა და თითოსა მხარესა
დააყენიან თორმეტ თორმეტი და ხელთა ექნებოდის მათ
ბრტყლად მოკაებული და გაბანდული ხისა კვერთხებრ გათ-
ლილი რაიმე, რომელსაცა ეწოდების ჩოგანი, რომლითაცა ათა-
მშინ ბურთი, შეუგდიან ბურთი მათ შეაზედ და ოდესუ ჩა-
მოარდის, დაუწყიან მობურთალთა მათ ცხენოსანთა ჩოგანთა
უქმა და ცდილობდიან ბურთისა მის ჩოგნით მოტაცნასა ურ-

თივრობისას. რომელიც იყვის უკეთეს მცოდნე, ესრედ უნდა გადახრილიყო ცხენიდამ, რომ ვიდრე დასრულებადმდე აღარ აეღო თავი. იყვის საზღვრად ოთხი მალალი ქვა აღმართული ასპარეზის თავსა და ბოლოს, რომელსა უწოდებდენ მაყიდ და იყო ქვასა ამათ ზედა გარდაფენილ ფარჩხანი ოქტოქსოვილი მრავალნი და რომლისაცა მხრისა ამ ქვათ შუა გაიტანდის ბურთსა, იქმნებოდის ამით სხვათა ჯობნა და აიღებდის მჯობნელი იგი სხვათა ფარჩხათა მათგან. კიდევ იბურთიან ესრედ: მოიყვანიან სამნი ანუ ოთხი კარგნი მობურთალნი, გაუგდიან ამათ ადგილსა ზედა ბურთი და უნდა მათგანსა ვისმე ცხენის მალ შეტევებით აელო ადგილიდამ ჩოგნით და შაეგდო მალლა და ოდეს მალლიდამ ძირს მომავალ იქნებოდა ბურთი, უნდა გიხდომოდა ფეხად და ოდეს ძირს დაცუმული ბურთი შეხტებოდა, შემოეკრა ჩოგნი და განეტუყორცა შორს და რომელიცა მათგანი იქმოდის ამას, იქებოდის ყოველთაგან. შემდგომად ამისა დასვიან ასპარეზისა მცირე საგანი და მსგავსად ყაბახისა მივიღიან ამაზედაცა და ოდეს წასცილდიან წინ რამდენსამე საექნია შესაფერად სროლისა, მაშინ ხელმობრუნებით ესროდიან ისარსა და რომელმაცა მოახვედრის, იქებოდის ყოველთაგან და გარდა ამისა იქნებოდის სხვა გვარცა თამაშა ასპარეზისა შინა, ეგრეცა ქორწილისა ფამსა და დიდისა გამომჩვენებისა დროსა იქმნებოდის ესრედ ასპარეზობა. მერმე შემოვიდიან და მეფისათანა იქმნებოდის ნაღიმობა დიდი. არამედ ვიდრემდის იყვნენ მუნ კათოლიკოზი და არქიერნი, არა იყო მუსიკათა კვრანი, არამედ გალობანი. ხოლო შემდგომად წარსვლისა მათისა იქმნებოდის მუსიკა და განუხრომა დიდი. ხ' ზნეობანი ესე ზემოთქმულნი, ესე იგი ასპარეზობა ყოფილ არს დროსაცა მეფისა თეიმურაზ მეორისასა, ხ' ირაკლი მეორისასა ერთ გზის დროსა მას, ოდესცა აქორწინა ასული თვისი ელენე იმერეთის მეფის ალექსანდრეს ძის არჩილისა თანა. ამისი თვის არამეთუ აქნდა მეფესა ირაკლის ეს გვართა საქმეთათვის მოკალება ძვირად, ვინადგან ხედა მას დრო ესეთი ზრუნვისა და მართებელობისა გამო სამეფოისა თვისისა და იყო ესეცა,

აქვნდა მას სურვილი დიდი კანონთა როსიის იმპერიისათა შეძლებისამებრ გაწესებად სამეფოსა შინა თვისა და უფროს სამხედროსა რიგისა და ყოცა განწესება რამე შეძლებისამებრ, ესე იგი არტერელი და უმეტეს ამისა ვერარა, უცალეობისა გამო და უფროს უცედურობითა ძეთა თვისთათა, რამეთუ უკეთუმცა მისწოდომოდამცა საწადსა თვისსა, ესე იგი კანონთა როსიისათა დადგებად სამეფოსა შინა თვისსა, იქმნებოდა ძენი და სახლი მისი უმეტეს ბედნიერ ღროსაგან მისისა. ხ' სამეფო მისი არა მოაკლდა ნუგეშინის ცემასა დიდსა, რამეთუ მოანიჭა მას ღმერთმან მფარველი საუკუნოდ ბედნიერობისაგან შეურყეველად დამაფუძნებელი.

ხ' მესძლობისა და ქორწინებისა წესი იყო ესრედ: ოდესაამტკიცებდენ ვინმე ვისისამე სასძლოდ თვისად მოყვანად, წარუეზავნიდიან ქალსა მას შეძლებისამებრ ნიშნად სამკაულთა ძეირფასთა და ამასთანვე ნოაგსაცა შაქრისასა სხვასა და სხვასა და მიტანისა ქამისა დასდებდიან ოქროსა ანუ ვეცხლისა სინსა ზედა სამკაულსა სასძლოსა და ეგრეთ მიართვიან ქალსა მას. ხ' დროთა მათ წალებისა და მიტანისასა ორთავე სახლთა შინა ვაჟისა და ქალისასა იქმნებოდიან მრავალნი ჩინებულნი მიწვეულ. შემდგომად ამისსა მიიწვევდენ სიძესა პატრონნი ქალისანი ღამე და რა მიიყვანიან, დაახვედრებდენ სასძლოსა თვისა შემკობილსა სამკაულითა სასძლოთა შჯდომარეთა და მხარესა მისსა სხვათა ქალთა მსხდომარეთა. ხ' სიძესა დაუსევმდენ პირდაპირ და ვახშამსა ზედა, ოდესუა შევიდიან მხარულებსა შინა, მაშინ გარდაიწვევდენ სიძესა და დასვემდენ სასძლოსა თვისისა თანა. მცირეს ხანს უკან შეაცვის ბეჭედი ქალსა მას ძეირფასი და ეგრეთვე მისცის ვაშლისა მსგავსად გაკეთებული ოქროსი შემკობილი. შემდგომად აწვევდიან მოყვარენი თვისნი ხუმარ სიტყვაობით ამბორის ყოფასაცა ქალისასა და დაუწყის დიდითა კრძალვითა ალერსი და ამბორის ყოფა და შემდგომად დასრულებისა ვახშისა შეუცვალის ხელსახლი თვისი ქალსა მას, ადგის და წარვიდის თვისსა საკუთრად განსასვენებელსა სახლსა. ამას უწოდებენ ერთა ჭამას. დღე-

სა მეორესა მივა სიდედრისაგან ტანისამოსი შესაფერი და ჩამ-
 ცმელი მისი მივა სიდედრთან მაღლობისათვის და შემდგომად
 წარვიდის სახლსა შინა თვისა განმსაზადებლად ქორწილისა.
 უწინარეს განუმზადებენ ვაესა და ქალსა გვირგვინოსნებისა
 დროსა ჩასაცმელს თეთრთა ბრწყინვალეთა ფარჩათა და დრო-
 სა გამოქრისა მათისათა მოიწვევდენ ნათესავთა თვისთა და სხვა-
 თაცა და მიართმევდიან ეამსა მას ნოაგნი შაქრისანი და იქმნე-
 ბოდის მგალობელთაგან ეამთა მათ საგალობონი გალობანი,
 რომელსაცა უწოდებენ მაყრულს. ეამსა ქორწილის მიახლები-
 სასა წარვიდის სიდე სიმამრისასა შეცოკრებითა ნათესავთათა,
 ეჯიბითა, ვითარცა მეფე და შეძლებისამებრ გამომჩენებითა
 დიდითა და მიუძღვიდიან მოხელენი და მგალობელნი მაყრუ-
 ლისა თქმითა და კარგად შეკაზმილნი ესენი და თვიდცა და
 თანა მყოლნიცა ისხდებოდიან ცხენთა ზედა ვითა შორს მიმა-
 ვალნი, ეგრეთ ახლოს. უკეთუ შორს იყვის სახლი სიმამრისა,
 წარვიდის რამდენისამე დღის წინ შესაფერიდ სიახლოვისა და
 უკეთუ იყვნიან ორნივ მხარე ერთსა ქალაქსა ანუ დაბასა, თვით
 დღესა მას ქორწინებისასა. ხ ქალის პატრონნი იქმნებიან გან-
 მზადებულ ქორწილისათვის მრავალთა ჩინებულთა გვამთა მო-
 წვევით, დაუდგმენ ტახტსა სხალსა მას და დასმენ მასზედ ჩამო-
 ფარებულს წმინდითა ჯუნითა, რომელსა უწოდებენ პირის ბა-
 დედ და იქმნების შემკობილ ყოვლითა სასძლოთა ჩინებული-
 თა სამკაულითა, დაურქმენ თოხს ჯილას თავსა ზედა*) და იქ-
 ნების მოსილ თეთრითა ბრწყინვალითა სამოსლითა, გვერდით
 მოუსვემდენ ქალსა ერთსა, რომელსაცა უწოდებენ მდადს, მი-
 სავე მხარეს და დასხემდენ ტახტს ქვემოთ მოახლეთა მზითვად
 გასატანთა და მხარესავე მათსა ქალთა სხვათა მუნ მოწვეულ-
 თა. ხ სძალი იგი უნდა ყოფილიყო მდუმარე და დიდის კრძა-
 ლულისა და წყნარის ყოფა ქცევით და ეგრეთვე სხვანიცა მუნ

*) ოთხ ჯილას გარდა დედოფლისა სხვა ვერავინ იმარებდის და
 რაღვენ იმ დღეს დედოფალი იქმნების სძალი, მისთვის ახმარებდენ თხ-
 ჯერ.

მყოფნი ქალნი ესრედ მსხდომარენი, რომელ ნათქვამ არს: სა-
უკრენი არ უნდა დასძრანო. უწინარეს მოსვლისა სიძისა მო-
ვიდის მათვან წარმოგზავნილი მახარობელი სახლისა ქალისასა.
ხ' მას ასეიან ვეცხლისა სასმისითა ღვინოი და მისციან მას
სასმისი იგი და შემოახვივიან მხარით ოქროქსოვილი ფარჩა,
შემოვიდის სიძეცა და დაჯდის სძლისა თანა გვერდით ტახტსა
ზედა მოსილი იგიცა თეთრითა ტანისამოსითა. შემდგომად
მცირისა ხნისა მივიდის ქალისა მამა ანუ მმა ანუ უმახლობე-
ლესი ნათესავი მათთან და დაუჩინქის ცალს მუხლზედ, გამარ-
თვის ქალს ხელი და ეგრეთვე ვაჟს და შთაუდვის ხელი ქა-
ლისა ხელსა გინა ვაჟსა და ეგრეთ მიაბარის და შევედრის
ქალი იგი შვენიერ სიტყვობით. წარმოდგის სიძე და მადლო-
ბა განუცხადის, არლარა დაჯდის, არამედ განემგზავრებოდიან
ეკლესიად. ხ' იქნებოდიან მავალ ქვეეითად დიდისა სიწყნარი-
თა მიზეზისა გამო ქალისა, ეპყრის ჟამსა მას სიძესა ქალის წა-
მოსასხამის მარჯვენე სახელი მარჯვენესა ხელსა და ეგრეთ მი-
ჟეონდის. ხ' ვითარცა მოუძღვნენ სიძესა თვისისა სახლიდამ
ჟამსაცა მას ისე წარუძღვიან ყოველნი ქვეითად და ეგრეთვე
მგალობელნი თქმითა მაყრულისათა. ქალსა მას გაყვის მდადი
ქალნი მრავალნი და მაყარი და ნათესავნი თვისნი მივიდიან
ეკლესიად და ეკლესიასა შინა იყენის სიძისა და სძლისათვის და-
სადგომი ადგილი ესრედ განმზადებულ, დაფენილ ქვეშ მაუდი-
თა და მასზედ ძირფასი ოქროქსოვილი ფარჩა განშლილ მცი-
რე რაიმე მისციან შეკარესა ეკლესიისასა, შევიდიან და დად-
გიან თვისა განმზადებულსა იდგილსა და ოლისრულის მღვდელ-
მან საიდუმლო ქორწინებისა. ხ' გვირგვინი ედგმოდისთ დღესა
სამსა, ერთს ქალის სახლში და ორსა ვაჟის სახლში და უწო-
დებდენ მათ სამდღე შეფესა და დელოფალს და გვირგვინი იცი-
ან ქორწინებისა სხვავარ და არა მსგავსი სამეფოისა გვირგვი-
ნისა, არამედ მსგავსი კრკალისა ოთხ ფოჩ ჩაშვებული, გარნა
მშვენიერად და ბრწყინვალედ გაკეთებულ ოქროსა ანუ დაფე-
რილითა სხეპლითა და ოდეს გამოვლენ ეკლესიით, მაშინ ეჯი-
ბი სიძისა და მაყარი სძლისა ორნივე ამოილებდენ ხმალთა და

მიაბჯენდენ კარსა ეკლესისასა და მის ქვეშ გავნლიდენ სიძე და
 სძალი და იმავე წესით წარმოვიდიან ეკლესით, ვითა მივიდიან
 მუნ და ოდეს მოვიდიან სახლად და შევიდიან სახლსა, მოეგე-
 ბის მათ სიღედრი ანუ სახლისა მის უფროსი ქალი ვინმე და
 ორთავე შეაუდვის ჰაქარი პირთა სიძესა და სძალს და ამბორს
 უყვის მათ. შემდგომად მისსა აღვიდიან და დასხდიან ტახტსა
 ზედა მის უმის მეფე და დედოფალი, ესე იგი სიძე და სძალი
 და შეიქნებოდის მილოცვა ესრედ: მივიდიან, ვისცა ექნებო-
 დის მწდეობა მიცემულ სიძისა ანუ სძლისა და განშალიან რა-
 იმე და დასდგიან მასზედა ვეცხლის ფორმოსი და პირველად
 მიულოციან მასზედა გარდაგდებით სასმისი ანუ ჭურჭელი ვე-
 ცხლისა რაიმე და შემდგომად მათსა მოვიდიან ქალი როლ-
 ნი და მათ მიულოციან მსგავსად მათსა და რა დაასრულიან
 ქალთა მილოცვა, დასხდიან თვის თვისთა ალაგთა. შემდგო-
 მად მათსა მივიდიან კაცნი მისალოცავად, პირველად ეჯიბი და
 მაყრები, ხოლო შემდგომად მათსა სხვანი ჩინებულნი როლ-
 ნი. ხუკეთუ თუ იყვის მიწვეულ მეფე მუნ ანუ სახლსა სა-
 მეფოსა იყვის ქორწილი, მაშინ შემდგომად ეჯიბისა და მაყრე-
 ბისა მივიდიან მისალოცავად წინამძლოლნი მოხელენი მეფისა-
 ნი და შემდგომად მეფე და ჩინებულნი. ხ საქართველოს მე-
 ფესაცა გვირგვინოსნებისა დღესა, ოდესცა გამოიყვანიან ეკლე-
 სით და დასვიან ტახტსა ზედა ანუ უწინარეს ქრისტიანობისა,
 რომელიცა მიიღებდის მეფობასა და დაუჯდის ტახტსა ზედა,
 მიულოცვიდიან ვეცხლისა და ოქროს გარდაგდებით და ვინა-
 დგან იქმნებოდიან სიძე და სძლი მის უმის მეფე და დედო-
 ფალ, ამისთვის მიულოცვიდიან მათცა და იყო მილოცვილი
 იგი ნივთი მწდეოა მათ სიძისა და სძლისათა და ოდეს დას-
 რულდის მილოცვა, დასხდიან ჩინებულნი კაცნიცა პირდაპირ
 თვისთა ცოლთა ანუ მახლობელთა ნათესავთა, ესრეთ რომელ
 რომელთაცა მუნ მსხდომარეთა ქალთა მიზეზითა რაითამე არა
 ყვით მუნ ქარი, მაშინ დაუსვიან მას პირდაპირ მამა ანუ ძმა
 ანუ მახლობელი ნათესავი. ხ უცხოთა კაცთა და ქალთა
 პირდაპირ სხდომა არა იყო რიგი. ლამესა მას იქმნებოდის ჩი-

რაღვანი დიდი, ხ' შადლუხი ესე იგი თოფთა და ზარბაზანთა
 სროლა დროსა სიძისა და სძლის დაგვირგვინებისასა. ღამესა
 მას მიართვის ვახშამი მასპინძელმან პატრონმან ქალისამან მის
 უძის შესაფერი ჩინებულნი ნოაგნი ფეხზედ დგომით დროდმდე
 და შემდგომად დასვიან იგიცა და ოდესუა მიიღის ვინმე პირ-
 ველად ლვინო, დალოცის მეფე თვისი და შემდგომად მის უ-
 ძის მეფე, ესე იკი სიძე. შემდგომად ამისა გარდაულივიან ლვი-
 ნო მრავალგზის კაცთა და არა ქალთა, რამეთუ ვითარცა სძა-
 ლი იგი ეგრეთვე მუნ მსხდომარენი ქალნიცა სასდელსა არა
 მიიღებდიან. ხ' გარდალევა ლვინისა იქმნებოდა ესრედ: დაა-
 ყნიან ორნი ბოქოულნი. ერთი ეტყოდის მეორეს მაღლის
 ხმით: ეს გვამი ულევს ლვინოს და მეორე მიუგებდის ამ გვამს:
 დაულიოსო, სახელით. იქმნებოდის ხუმარ სიტყვაობა და სი-
 ცილით შექცევა და ოდესუა გახშირდის, მაშინ ჩამოაგდიან
 ზმა და ყურის მივდებითა მისითა და ფიქრითა პასუხის მიგე-
 ბისა მისისათა შეიქნებოდის დაწყნარებულება. ამისთვის იქმო-
 დიან ჭათარა ლვინოსმულობითა შემთხვეოდათ რაიმე ესრეთი
 სიტყვაობა ანუ ყოფაქცევა, რომელიცა არა შვენის კეთილშო-
 ბილებსა სდილობისა პატრიციისცმითა მუნ მსხდომარეთა ქალ-
 თათა და უკეთუ იყვის მუნ მოწვეულ მეფე და დედოფალი ანუ
 სამეფოსა სახლისა ვინმე, მაშინ უმეტეს იქმნებოდის განკრძალ-
 ვა ეს გვართა საქმეთა. შ' დ ამისა იქმნებოდის ვისგანმე შეს-
 მის მოხსენება სიძისა და სძლისა და მასუკან გალობის თქმა
 მრავალგზის და შექცევა მუსიკითა. შ' დ ადგებოდის ეჯიბი მე-
 ფისა ორისა შიშვლისა კლიმითა და მდივანმან ანუ მწიგნო-
 ბარმან ვინმე წარუკითხის ნუსხა ქალსა მას ქრმისა თვისისაგან
 მიცემულთა სოფელთა ნუსხა პირბადის ასახდელად. შ' დ მივი-
 დის ეჯიბი, დაუჩირქის კრმლებითა და აპხალის პირბადე სძალ-
 სა მას, შ' დ წარმოდგებოდის საშუალ მდივანი ანუ მწიგნობა-
 რი ვინმე და წარიკითხის. რასაცა ქალს მას გაატანდიან ზით-
 ვად და იქმნებოდის კვლავ ლხნი და შექცევა. შ' დ ფერკზე
 დგომით დალივიან სადლეგრძელო მეფისა თვისისა და მცირი-
 სა ხნისა შ' დ ადგების სიძე და წარიკუტანიან მაყრულით გან-

სასვენებელსა საწოლსა, სადა დასჯდების ფარალათად მომცდელი ცოლისა. ხ' სტუმარნიცა კაცი წავიდიან თვისთვისად და დაშთებოდიან ქალნი და მაშინ მიაღებიან საზრდელი სძალსა მას იძულებითა დიდითა და სხვათაცა ქალთა, მაშინ მიიღიან საზრდელი. ხ' შ'დ წარიყუანიან სძალი საწოლად და მიჰყენიან ქალნიცა მუნ და იქმნებოდნენ, მუნვე შეხსნიდენ სამკაულსა და განამზადებდენ მოსასვენებლად ქრმისა თ'. მეორეს დღეს განეზადებოდის სიძე სძლითურთ შინ წარსასულელად, გამოესალმოდიან ქალის მამას და დედას ძმათა, დათა და ყოველთა მუნებურთა და თვით სიძე შესვებდის სძალს ცხენზედ, წარვიდიან მშიარულნი მაყრულითა და გამომჩენებითა და უძლოდიან წინ ორნი სამლევდლონი ხელითა ჯვართა მტვირთველნი და რომელსაცა დღესა მისასვლენ იყვნენ და მიახლოვდიან სახლსა სიძისასა, გავზავნიდიან ქალის პატრონთაცა მახარობელი და რა მივიდის და ახარის მიმავალობა მათი, ჰყენიან მათცა ეგრედ მას ზედა ვითარუა სამშობლოსა ქალისასა. მცირეს ხანს გარდახდიან ადგილსა რასმე ანუ სახლსა და მოხსნიდიან სძალისა საცხენოსნოსა სამკაულსა და მოკაზმიდიან სასძლოსა სამკაულითა და დახურიან ისევ პირბადე და დაადგიან გვირვევინი და ეგრეთვე სიძესაცა დაადგიან გვირვევინი. შემდგომად წარვიდიან მაყრულითა და წინაძლოლითა მოხელეთათა ვითარუა მეფენი, ვითა ზემო ითქვა დროსა სიძისა სძალთან მიმავალობისათა და ეგრეთვე უძლოდიან ორნი იგი სამლევდელონი ჯვართა მტვირთველნი და იქნებოდა სახლი სიძისა მცდელ უმეტეს ჩინებულისა ქორწილისა სამშობლოსა ზედა სძლისასა და რა ზღუდისა კარსა მივიღიან, მაშინ იქნებოდის თოვთა და ზარბაზანთა სროლანი და აქაცა წარუკითხის მწიგნობარმან ნუსხა ცხენიდამ გადმოხდომისათვის კიდევ მირთმეულთა სოფელთა ანუ ყმათა და თვით სიძე გარდმოახდენდეს სძალს. სახლის კარიდამ დაწყებით ვიდრე ტახტამდენ მათდა იქმნებოდის ფარჩა განშლილ და ამას ზედა განვლიდიან სიძე სძლითურთ. ხ' ფარჩანი იგი მიეცემოდის სრულიად შათირსა ქალისასა. მიეგებოდის წინ მათ დედა ანუ და ანუ სძალი და

შთაუდვის ამანცა ორთავე შექარი პირთა და ამბორს უყვის. შემდგომად მოვიდიან სხვანიცა დები სიძისა და ამბორს უყვიან ძმასა და დასა თვისა. აფიდის სიძე ტახტსა ზედა, დასჯდის და დაისვის გვერდით სძალი და დაუჯდის მას მდადი. შემდგომად ამისსა შეიქმნებოდის მილოცა ვითარ სამშობლოსა ქალისასა და სხვაცა ყოველი მსხდომარეობა კაცთა თუ ქალთა, მოღება ვახშისა, გალობანი, მუსიკითა შექცევა, ღვინისა გადალევ გაღმოლევა და ეგრეთვე ლიმენაცია, ყოველივე მსგავსად სამშობლოსა ქალისასა იქმნებოდის. თუმცა აქ უმეტესს ლხინს და გამომჩენებას ეცდებოდიან, მაგრამ ყოველივე იყვის მსგავს მისსა. ხე აქა პირბადის ახდაში მიართვიან სძალსა კიდევ ორი ყულუხი და იქ ზითვის წიგნის წამკითხავს აქ წაკითხვანი გაშლიდიან ფერხთა ქვეშე ფარჩისა ჩინებულსა და მისციან იგი მას. ხე წაიყვანდენ აქაცა საწოლსა პირველად სიძესა და შემდგომად სძალსა ვითა სამშობლოსა მისა. დღესა მეორესა აღვის სიძე და განვიდის სხვასა სახლსა და დაახურებდენ დღესა მას სძალსა ქუდსა მარგარიტითა შემკობილსა. ხე რა დაღამდის დღე იგი, მოქაზმიდიან ქალსა მას ყოვლისა სასძლოსა სამჟაულითა, გარნა არღარა აფარიან პირბადე და დაადგმიდიან გვირგვინსა ორთავე სიძესა და სძალსა, მცირესა ხანსა დასხიან ერთად ტახტსა ზედა და შემდგომად წარიყვანიან სიძე სხვასა სახლსა და იყვის ღამესა მას მსხდომარეობა ცალცალკე კაცთა სიძესთან და ქალთა სძალთან და ღამესა მას უმეტეს კაღნიერად შეექციან კაცნი, ვინაღვან არა იყო მუნ ქალთა მსხდომარეობა და არღარა აქვნდათ თავაზა მათი. ხე შემდგომად ღამისა მის თუმცა არღარა იყვიან სიძე და სძალი პატივითა მეფებრივითა, გარნა იყვის კიდევ დღესა რამდენსამე შხიარულება და განცხრომა. შემდგომად განუტევებდიან თვისდამი მიწვეულთა ნათესავთა ანუ სტუმართა და ეგრეთვე თან მიყოლილთა სძლისათა ძმასა ანუ ნათესავთა, მდადესა, მაყართა და სხვათა შესაფერითა საჩქრითა. ხე მეფეთა სახლისა ქორწინება განეყოფოდა მცირეთ რითმე, ამისთვის

რამეთუ ძვირად შეხვდებოდის მათ თანასწორი თვისი ანუ დიდი ვინჩე მოყვარე და იყო ჩვეულება თავადთა თვისთა ქალთა თხოვისა და მისოვის აღასრულიან ქორწინებისა საიდუმლო ეკლესიათა შინა სასახლისა თვისისათა. ხ' ძეთა მეფისათა ემამა ქორწილისასა დაურკვიან ჯიყა თავსა ზედა მარცხნესა მხარესა. ხ' წესი ესე ქორწილისა იყო ვიდრე დროდმდე უკანასკნელისა მეფობისა, გარნა ერთაკამა კაცთა და ქალთა უფროს ძვირად.

ძეობის წესი იყო ესრედ. ოდესუა აღივსნის დღენი ქალის მუცლად დებულობისანი, დროსა მტკიცნეულობისასა მოუწოდიან გარდა ნათესავთაცა თვისთა სხვათაცა ქალთა მრავალთა და დროსა დიდისა მტკიცნეულობისასა შევიდის ქმარი მისი და სახლისა მისისა ჭერსა ჰყრის თოხსავ მხარესა ისარი, ხ' მღვდელნი იდგინ და იკითხიან წმინდა სახარება, ვიდრემდის განთავისუფლდებოდის ქალი იგი. ხ' რაემს განთავისუფლდის და იშვის ყრმა, წარვიდის მახარობელი მათთა ნათესავთა და მეგობართა თანა და სამშობლოსა ქალისასა, დღესა მესმესა ეამსა ბინდისასა შეაწვენდენ ქალს ტახტსა ზედა დიდად ტურფითა საგებელითა და გარდააგდებდენ ზედ ბაღებრ მშვენიერად მოქსოვილსა ბალდახინად. შემდგომად მივიდიან ქალნი და მიულოციან გარდაგდებითა ვერცხლისა ჭურჭელთასა მსგავსად ქორწილისა და შემდგომად მათსა კაცნი. ხ' ვახშმისათვის დასხდიან კაცნი სხვათა სახლთა და ქალნი მუნ და იყვის ლხინი და განცხრომა მუსიკითა და სიმღერითა, გარდებმოდიან ერთმანეთს მკლავით და ეგრეთ როკვით იმღერდიან, რომელსაცა უწოდებენ ფერხისისას და ესრედ შევიდიან სახლსა შშობიერისასა და დასხდიან ქალთა პირდპირ ქმარნი ანუ ნათესავნი მათნი მსგავსად ქორწილისა და გაღმა გამოლმით დაიწყიან ქალთა და კაცთა სიმღერა. შემდგომად ამისასა მოუწოდიან მენესტვეთა და მათის თანყოლით დააბიან სამია, ესე იგი სამთა გვამთაგან ერთმანეთის ხელკიდებით და როკვით სიმღერა და იყვის თხუთმეტ დღემდის ნიადაგ ლამე ესრეთ განცხრომა, ლხინი და ლამისთევა ნათესავთა, მეგობართა და მცნობთაგან.

Ե՛ զոտա հինգեծոլոն Սաելուս Շոնա ովանուն մոմեցրառ და մո-
ցրենիս, ցըրել թոնան და մասելորն გարյ. Ե՛ Ցշոմօյը ը-
ոյմեցօլու թէցը արարակ նուազ միոլարյ და գլուս մը-
տեսութերքս Վարմոեցոն ոչո და დաշորն սեց ցարո համ
Սաելուս տղլոտ და մարգարուու Ցշմոնալու, հոմելու
Միուուցեց Քաջը Սահալուշատ նունա ամուսա, հոմել արարա
ոյմեցօլու սելութերքու մումարյունու անց Ցերու Կամալուլու-
նու տանամდյօ, արամեց սեցատ Պատուսանտա ըցդապտա Ցորու
ալրապելու. Ե՛ Քալո ոչո Ցցութլոտ մատ հառ մոլուցուու,
ցանպութու და Վարուցիւնու Քալոտ մատ, հոմելու պա յամ-
տա մատ յուլուն լամյ. Ե՛ Ցշերուլութեաթմու որմուու Քալո
ոչո ոչու նուազ Սաելուս տղուսա და ցըրսա Վարու նու. Վյենո
ցեց ցոնձուսան հոմելոնից, ցեց ոչո լամու ուցա ցըրենու და
սիմելրա ոյու գրութե Մանասէնցուու Ցյունու, Ե՛ Կապտա და
Քալոտ ցրտապամբն ցրտա մետօմարյուն արարա და Ցցու-
լու ցագացենու մոլուցու ուժու ցոնձու.

Ցլուցու Վյենու ոչու ցըրեց: Միոնարյ Սպուռնու գուգա დ
մեմեց და միարյ ցոտա ցանմուշուլու Վյելութու და ցրմ ծեփ-
սա Ցցա մատրանու და ալքարևա Տրուլու տմատա და Վարծտա
დա Վամիամտա ալքուց, ցարնա մասոյան արարա ցըրեց մե-
մեց, արամեց ոյու ցըրեց. ոգցու ցանցու Կապու ամոյր
Լուցուու, յամսա մաս Ցյեմնուն մին մաելութել նաշեսայտա մուտա
Ծյութա დա Ծորուու մլոյրու დա Ցշմուգոմա մուսա ցանուցուն ո-
չոն սեցաս Սաելուս, დասիսա մուցալութուն մեցալոն մու-
նո տացմուշուլոն და տմա ցարճաշուլուն და ցըրյուց Կապու
დասիսա մատտան մասելորն մունու დա ցոնատցոն արև տանամդյ-
տա Ցորու ցլուցուստա ունուցու կըրու, ցանուցան մաս
Ցորյուլու սալուրա մուցալութուն ոյմեցօլու տացմուշուլ
დա տմա ցաշուլ დա որնո Սամնո Ցեցալոն Կապու մուսցու տան
ցըրեց დա սեցան Կալոն Թրացալոն մուսցու էմու մուրո-
րալոն. հուսու Ցեցու մուցալութուն կըրու, Ցյոյնու Ծյու-
թա գուգ დա Ծորուու սուԾյու დա Ցշմուգոմա ցամուցուն ո-
չու սաելուս մաս Սացլուցուս, დաշցեցօլու կըրու დա ճակ-



ყის ტირილი, სიტყვით შეამკის ქებითა ქმარი თვისი და დავის თავი თვისი დიდ უბედურად შემდგომად მისსა სიცო-ცხლისათვის და შეავედრის ყოველთა შვილნი თვისნი. წარი-ყვანდიან ყოველთა მახლობელ ნათესავთა მისთა წესითა ამით სატირლად მიცვალებულისა და ეჭირისთ ხელი უამსა მას ორ-თა გვამთა ვისმე და წარუძღვებოდიან წინ მგალობელნი სა-წუხრისა ხმისა მომღერალნი, რომელსაცა უწოდებენ ზარს. ხ' შემდგომად მათსა მივიდიან სხვანიცა მცნობნი და იტირიან მიცვალებული და დააფარიან ფარჩა ძვირფასი ხელითა მღვდლი-სათა, რომელსაცა უწოდებენ გარდასახურავს და მიუტირიან მახლობელ ნათესავთაცა მისთა. ხ' დროსა საფლავად წარსვე-ნებისასა კიდევ ატირებდენ პატრონთა მისთა მიცვალებულსა მას მსგავსად წინათქმულისა და შემდგომად წარილებდენ საფ-ლავად ქრისტიანებრ სამღვდელოსა დასისა შემოკრებით და შე-საფერად საწუხარისა გამომჩერენებით გაყვნიან საფლავადმდე ნა-თესავნი, მეგობარნი და მცნობნი მრავალნი და მიიღიან საფ-ლავად და აღასრულიან დღესა მას წესი სულიერნი, ესე იგი წირვა, ლოცვა და მიცემა გლახაკთა. ხ' რა დალამდის დღე იგი, დაფენდენ ნიშანსა ქმრისა და ცოლისასა, ესე იგი საძი-ლოსა ქვეშავებსა და შსთადებდენ მას შინა ქმრისა და ცო-ლისა ახალუხსა, თავს ადგის მღვდელი შემოსილი საკმევლისა მქეველი, დაუსხდიან გარს მხევალნი თმა გაშლილნი და სხვა-სა სახლსა გაშლიდიან ტურფასა რასმე საგებელსა და საჯდომ-სა და დასდევიან დორი მას ზედა და გარდაშლიდიან ქმრისა კიბასა და ცოლისასა წარმოსასხამსა რასმე და დასდებდეს ხმილ-სა მიცვალებულისასა მარცხნივ მხარეს და ორნი ყულუხნი დააყენიან თავს. ხ' უკეთუ იყვის გლოვა მეფისა ანუ დედოფ-ლისა, მათთვის დასდეგიან ტახტი შესაფერად შემკობილი და და გარდაშალიან დორსა ზედა პორფირი სამეფო და დასდევიან გვირგვინი და სხვანი სამეფო ნიშანი, ხ' დედოფლისასა წმო-სასხამსა რასმე ყარყუმისასა ქალის მხარეს დააწყობდენ სამკა-ულსა და ტანისამოსსა ქალისასა და უსხდიან მას მხევალნი თმა გაშლილნი. ხ' მხარესა კაცისასა ტანისამოსსა და სამამა-

ცოსა იარაღსა და უსხდიან მას კაცნი თავშიშველნი. ხუკუთუ
 მეფისა იყვის, ისხდიან მხევალნიცა სამკაულთა თანა დედოფ-
 ლისათა. გარნა სხვანიცა ქალნი ჩინებულნი ცოლნი მოხელე-
 თანი. ხე მეფისა მხარესა მოხელენი ესენი ესრედ მსაჯულნი
 ისხდიან თავშიშველნი და სამხაჯულო წიგნი ედვისთ წინ გა-
 შლილი პირქვე, მანდატურთუხუცესნი და ბოჭოულთუხუცეს-
 ნი ისხდიან და ეყარისთ წინ დამტვრეულნი კვერთხნი, რომ-
 ლითაცა უძლოდიან წინ მეფესა. ეგრეთვე მდივანნი ისხდიან
 და ეყარისთ წინ დამტვრეულნი კალამნი, რომლითაცა სწერ-
 დიან განჩინებასა და ბძანებასა მეფისასა და აგრევე შეკამი-
 დიან ცხენთა უკუღმა ვითა მეფეთავის, ეგრეთვე სხვათა ჩი-
 ნებულთათვისცა და სადაცა იყვის ცხენი გარეთ მეფისა, იჯდის
 მასთან მეჯინიბეთუხუცესი და განიყვანიან პირველ ქვრივი და
 შემდგომად ყოველნი თვისნი მისნი და ატირიან ნიშანნი იგი
 სახითა მით, ვითარცა იყვის მიცვალებულსა ზედა და იყვის
 ყოველ ღმი ესრეთ თხუთმეტმიდის, შემდგომად მეორმოცესა
 ღამესა და შემდგომად ექვსისა თვისა და შესრულებისა წლისა-
 სა და ოლუსრულიან წესნი სულიერნიც, ესე იგი წირვა ლოც-
 ვა და მოწყალება დღესა შეშვიდესა, მეათხუთმეტესა, მეორ-
 მოცესა, თვესა მეშვიდესა და შესრულებისა წლისასა და გარ-
 და ამისსა, ვის როგორცა ენების, ეგრე ჰყვის. დახურიან ქვრივ-
 სა შავი ლექაქი ქმრისა მისისა, მიცვალებისა მესამესა დღესა
 მიიტანის შევალთ უფროსმან წინამძღოლითა მგალობელთა სა-
 წესრისა ხმითა მომღერელთათა და იქმნებოდის უძმა დახურ-
 ვისა მისისასა დიდი ტყება და ტირილი. ჩაცვიან შავნი მეუ-
 ღლებან, ძეთა, ასულთა, ძმათა და დათა, პირველად შალნი და
 შემდგომად უფრო უსუბუქესნი, არა სჭამიან ხორცი მრავალ-
 სა ხანსა და იგლოვდიან წლამდის ქართა, ცოლთა, შშობელ-
 თა, შვილთა, ძმათა და დათაცა, ეგრეთვე მეფეთა თვისთა. ხე
 მეფეთა საფლავად მიღებისა წესი იყო ესრედ: ოდესცა გარდა-
 იცვალის მეფე, შეამკიან მდებარეობა მისი შესაფერად მეფო-
 ბისა და დროსა წარსვენებისასა დაუწყიან წინამძღოლთა მო-
 ხელეთა მწყობრნი ეგრეთ ვითარცა სიცოცხლისა დროსა დი-

დისა გამომჩენებისა რისასასშე და წარუძღვიან წინ, გარნა მსგავ-
 სად ნიშანთა ზედა მსხლომარეობისა ესე იგი მდივანთა ქპყრისთ
 ხელთა გატებილნი კალამნი, მანდატურთუხუცესთა და ბოქა-
 ულთუხუცესთა და ყოველთა მსგავსთა მათთა მოხელეთა გა-
 ტეხილნი კვერთხნი. შემდგომად მათდა სამღვდელოთა დასწი
 და შემდგომად მათდა სამეფოთა ნიშანთა მტკირთველნი. აღი-
 ღიან კუბო მეფისა ბალდახინით ერთ რამდენთამე ჩინებულ-
 თა თავადთა და შეუდგინ მათ შემდგომი მისი ახალი მეფე და
 ქვრივად მყოფი დედოფალი და ყოველნი სამეფოისა სახლისა-
 ნი და სხვანი ჩინებულნი კაცნი და ქალნი და ყოველი ერი.
 ხ' ყოველნი ქალნი თავშიშველნი და თმა გაშლილნი და თვით
 ახალი მეფეცა და სხვანი ყოველნი რამდენსამე ვერსსა ქვევი-
 თად. ხ' თავადთა მათ მიირანიან მიცვალებული მეფე და და-
 სვენიან სასახლისა კარსა. მოვიდის იმ მეფისა დროშისა სა-
 კუთარი მხედრობა და მოუძღვის მას ერთი ჩინებული თავად-
 თაგანი ვინმე, პირველ დაიჩიქის და იტირის ტყებით და შემ-
 დგომად წარასვენიან მეფე იგი მხედართა მათ ქვეითთა, გარ-
 და თავადთა და აზნაურთა და დაასვენიან კიდევ დანიშნულსა
 ალაგასა. შემდგომად მოვიდის მეწინავე მხედართმთავარი და ჰყენი
 მანუა ევრეთ და შემდგომად მისასა მემარჯვენ და შემდგომად
 მემარტხნე და ჰყენიან მსგავსადვე მათთა და დასვენიან დანიშ-
 ნულსა ადგილსა მახლობელ მცხეთისა. ხ' მოვიდიან მუნ მცხე-
 თისა ჩინებულნი კეთილშობილნი და მათცა ჰყენიან მსგავსად-
 ვე მათდა და დაასვენიან ეკლესიისა ზღუდისა კარსა, მუნითგან
 შემოსილთა მღვდელთა შეასვენიან ეკლესიად. იყო მცხეთას
 პალატი მის უძმისათვის შავისა ხავედითა მოქრული და კერს
 საშუალ ჯვარი წითელი აზრითა ამით, ვითა იყვნენ მოიმედე
 მწუხარენი სიხარულისა შემთხვევასაცა და იყო მსხლომარეობა
 მწუხარეთა მათ სახლსა მას და ყოფდიან მუნ ვიდრე შესრუ-
 ლებადმდე ორმეოცისა ანუ უწინარესცა წარმოვიდიან ტფი-
 ლისად. ხ' დედოფლისაცა იქმნებოდის ესრედ, გარნა წარუ-
 ღვიან მას თვისნი საკუთარნი კარისა მოხელენი მსგავსად მე-
 ფისა. იყო წესი ესე მიცვალებულის გლოვისა ვიდრე დროდ-

მდე უკანასკნელისა მეფობისა, გარდა თხუთმეტ დღეს ნიადაგ ლამე ნიშნის ტირილი არღარა, არამედ ღამესა მეშვიდესა, მე-ათოთხმეტესა და მეორმოცესა და ექვსის თვის შემდგომად და შესრულებასა წლისასა უფროს ძვირად და ქვრივთაცა ძირიად-ლა ხურვიდიან შავს თავსა ზედა. ხ' წესნი ესე გვარი თუმცა-ლა იქმნებოდის უწინარესთა საქართველოისა მფლობელთა და მეფეთა დროსაცა, გარნა ქრისტიანებრთა წესთა გამო, ვინად-გან იქმნა მირიან სხვათა მეფეთა შორის პირველ ქრისტიანე და მიზეზ ქრისტიანობისა ყოვლისა საქართველოისა და კეთილ მსახურებათაცა შორის იყო ჩინებულ, ამისთვის აღვწერე დროიდგან მისით.

ამას მიუთხა ფრთად შემთხვევებით საქართველოს ისტორია ვადრე შე-XVIII საუკუნის დასწევისამდის. ცნობები ფრთად მთკ-ლება და ისიც მოუვანილი გახუშტის ისტორიის მიხედვით და აშიტოშ საინტერესოს არაფელს წარმოადგენს. თვიმურაზ II, ერებლე II და გიორგი XIII-ს შესხებ კა გახტანბ ბატონია შვილი გადმოგვცემს შემდება:

შემდგომად დაიბყრა რა ქართლი და კახეთი ნადირშამ, განაგებდენ ხანი სპარსთანი ქართლს და მეფობდა კახეთსა ზედა თეიმურაზ. ამან ძლეულ ჰყო სპანი ოსმალთანი საჩინოდ ხიზიხის პროინცის რომელსამე ადგილს შინა. ხ' წარყვანილ იქმ-ნა ესე ნადირშას მიერ პატიმრობით და მიყვანილ ისპანად, გარნა არარია ავნო, არამედ ჰყო პატივითა დიდითა. გარნა სთხო-ვა შეილნი, ძე და ასული და წარიყვანეს ძე თეიმურაზისა ირაკლი და ასული ქეთევან. მიიყვანეს მუნ, სადაცა მყოფობ-და ნადირშა. ქეთევან მისუა ძმისწულსა თვისსა ადილშას კო-ლად, რომელიცა იყო ჩინებულ ძლიერებასა სიმხნესა და ახო-ვნებასა შინა. ხოლო ირაკლი ჰყვა პატივითა დიდითა, თანა ჰყვა ნადირშას ორნივე მამაძენი ბრძოლასა შინა ყანდარისასა

და մյուն Շեմլեծիսամեծն մասնակցես պարտավոյ. ե՛ գանցնեցա մյուց տցոմշրան և սամեցողաց տցուսադ յանետագ დա եց մուսո որայլու დաշտա մյուն ենթու նագորնանատա, ոյս մյուն ոտք վրալ დա մրացալու սափարտա დա ծրմռալու շնոն ձնցա տցուտանա დա տցութ ըրուս ոնցուս շնոն Շեցալուս დա դածրկանաս սագրան-
տուս մուսուս յալոյիս შաօջանածատուս ձնցա մյուցես տցոմշրան եց մըուր պար սախելու ուսանց დա մռացաւ ոց დա ան-
լուս դաշտա սեցա եց տցոնոյր որայլուս. ե՛ սընա ցը ռա նա-
գորնամ, Շեծրալու დա ոլոմ գուգագ დա վարմոցնազնա մյուս
տցոմշրան եց որայլու մամուս տցուտուս დա մուցուգ մամուլու տցուսադ. եռլու մյուցեման տցոմշրան დա մըման մուսան որայլում
ահանց յրացալուն դա սամսանար. ցըրեց ձնցա վնճանալմուց-
ցան սայահուցուլուս շնոն, ցուտարպա հռմելմանց յարտացալու
տացագուցաննան մուրացեցուլ ձնցու տցուսադ հռմելունոյ լուսենո
დա սոցուլոն յարտանուսն. ե՛ մյուցեման տցոմշրան դա մըման
մուսան որայլու գուգուտա շնոմուտա մուսւացը ուսց պարացա ուսցալուց
յցրեցա ուսմալու մոմացալու գուգուս տնագ, հռմելուապա մու-
շնագ մյուն եանոն վարցնացնուլու սուլտանուսացն սավոնալմուց-
ցան նագորնանա, ճախցա մատ մյուս տցոմշրան եց որայլու
մեցորանուտա ձնուս արացուս մունարուսատա, ցպացտա մատ დա
սելուց ձնցու և պար ոյշուն ուսց. յցրեցա մաքմալունտա-
ցան ցոնմց մոմացալու գուգուս տնագ, հռմելուապա յիշոնա-
րը նագորնանա և սամաստա մյուցետա ըրմռանա, Շեյսունա ոց յուրիման
և մանակ և Շեյսուն ոց սամացանտա տցոմշրան մուսատա մո-
ցարց մյուցես տցոմշրան. ոյս մանոն յարտա յաեցուս մաս-
լունա ման վարցնացն մաս տցոմշրան. եռլու ման պարան մամաս
տցուս նագորնան դա յիմնա ոց գուգու գուգու մագլունել մյուս
տցոմշրան մուսա մուսուս որայլուս դա մուսւա մյուցես տցոմշր-
րան մյուս յարտանուս դա մուս մուսուս որայլուս մյուս յաեց-
տուս. ոյս մանոն մյուց տցոմշրան մյուց յանալցան տցուսու
վարցնա շնոն արմելու գուցեցնուց, ե՛ մյուց որայլու ուրացա-
ման ուրացնուս. ուրեմն մյուց տցոմշրան մյուց յանալցան տցուսու

წელს ჩდმდ ღვდომბერს ა. ეჭნდათ ამათვე ორთავ მეფეთა
 ვიდრე უკანასკნელ დღედმდე მეფის თეიმურაზისა ურთიერთი-
 საღმი სამაგალითო კეთილი მამაშვილიბა, ამისთვის უფროს
 სარწმუნო არს ესე, რამეთუ მეფესა თეიმურაზს არა ესვა სხვა
 ძე და არცა ძმა თვინიერ ირაკლისა და იგი იყო მორჩილ ყო-
 ველისა შინა და პატივის მცემელ მამისა თვისისა ბრძანებისა-
 მებრ რჯულისა. ხ მეფის თეიმურაზისა გვასმიერ მრავალთაგან
 პატიოსანთა გვიმთა თანამედროვეთა მისთაგან სიმართლე და სა-
 ხიერება, ხოლო სახიერისა მამისა თქმულ არს მიტევებაცა ცოდ-
 ვათა ძისა და არა უცოდველისა მოძულება. ხ წელს ჩდმვ
 გაძვინდა ნადირშა და შეკვეთა ხარკი ფრიად მძიმე და ტვირ-
 თად შეუძლებელი ვითარცა სპარსეთს, უმეტეს ქართლსა და კა-
 ხეთსა, თვით მეფეთა, თავადთა, აზნაურთა, ვაკართა და ყო-
 ველთა სამლოთთა და საეროთა. ხ ვითარცა მოესმათ ამბავი
 ესე მეფეთა მათ, დაუმძიმდათ ფრიად და იქმნენ მწუხარე, ვი-
 თარცა შეენოდა საქმესა მას, რამეთუ არა იყვნენ ბრძოლისა
 შეძლებელ და არცა მიცემისა სათხოვრისა ამის. ხ უამსა მას
 სხვა ცერარი ჰპოეს ღონისძიება, გარნა ესე რომელ იყარნენ
 და მოვიდნენ სიმაგრეთა არაგვისათა, ვითარცა ჩეკულება იყო
 ძველიადვე მეფეთა ქართველთა და ეჭნდათ მათ სახიზრად ესე-
 თისა დროსათვის და ამისთვის არს მუნ ესე იგი არაგვზედ
 მრავალთა ადგილთა ნასახლევი მეფეთა, რომელსამე ადგილისა
 დღესცა სიანან მცირედ შენობანიცა, რომელსაცა უწოდებენ
 სეფედ ესე იგი პალატად ანუ სამეფოდ სახლად. ამისთვის ყო-
 ფილ არს მეფეთა სახლისა პროინცია იგი, თუმცა დროისა მი-
 ზეზითა მეფეთა წინააღმდეგობით წელსა რამდენსამე მიტაცე-
 ბულ იყო იგი სხვათაგან, გარნა შემდგომად ამავე მეფემან
 თეიმურაზ მიიღო და თვით ნადირშამაცა დაუმტკიცა იგი უწი-
 ნარესვე ქართლის მოცემისა. იყვნენ მეფენი წარჩინებული-
 თურთ თვისით თვესა რამდენსამე არაგვზედ განზრახვასა შინა,
 თუ რაი ყონ. ხ მეფემან თეიმურაზ განზრახა და დაამტკიცა
 საქმე ესე მსგავსად მეფისა დიმიტრი თავდადებულისა და უბრ-
 ძანა ესრედ თვისთა ყოველთა: წარვალ მე წინაშე ნადირშაისა,

მიუცემ ნაცვლად სამეფოსათვის თავსა ჩემსა და ოაიც ეწადოს,
 ჰყოს ჩემზედა სიკედილი თუ სხვა ძეირის შემთხვევა და ანუ
 თავისუფალ ვუოთ მწუხარებისა ამისგან სამეფოთა ქართლისა
 და კახეთისათა. დაამტკიცა ესე და დაუტევა მართებელად ქართ-
 ლისა ე თვისი მეფე კახეთისა ირაკლი და ხინჯად წარსრულ-
 ნიც მოვიდნენ ყოველნივე თავისთვისად. წარვიდა მეფე თეო-
 მურაზ ნადირშასი და რა მივიდა თავრიზს, ესმა მუნ სიკვ-
 დილი ნადირშასი და სპარსეთის ტახტის მიღება მმისწულისა
 მისისა და სიძისა თვისისა ადილშასაგან. ამისთვის მხიარულ იქმ-
 ნა მეფე თეომურაზ და წარვიდა ადილშასადმი. ხოლო მან მი-
 მიღო მხიარულებითა და პატივითა დიდითა. ხ დაშთა სა-
 მართებლად ქართლისა მეფე კახეთისა ირაკლი. ხედა მას დროი
 დიდისა შრომისა და განუსვენებლობისა, რამეთუ იყო ვინმე
 მუნ ქართლს ბაგრატიონთაგანი ე მეფისა ნაშობი ხარჭისაგან,
 მაჭადიანი, რომელსა უწოდეს თურქთა აბდულბეგ. ამას აქვნ-
 და მეფეთა ამაღგან შესაფერად პატივისცემა, ევრეთვე სო-
 ფელნი და ციხეცა, გარნა ჰყო მან წინააღმდეგობა და განდ-
 გომა და მოვიდა დიდითა სპითა, რომელსა ჰყვანდნენ ლექნი-
 ცა, ტფილისა ზედა. დროსა ამას არა ყვა მეფესა ირაკლის
 ჯერეთ შესაფერად სპა შეკრებილ, განაღა მცირე, გარნა მინ-
 დობითა მღვთისათა განვიდა მით და ეწყვნენ ურთიერთობის
 მახლობლად ტფილისისა, იძლია აბდულაბეგ და განჰყვა მეფე
 სპითურთ უშორეს ოცდაოთხისა ვერსისა და მოსვრიდენ უმ-
 რავლესთა მაღანთა. ხ შემოიკუ მეფე ირაკლი ძლევა შემო-
 სილი და მადლობელი მღვთისა ტფილისადვე. შემდგომად რა-
 მდენისამე ხანისა უკუდგნენ მცველნი ტფილისის ციხეთანი,
 იტყვიან ისევ თანხმობითა ამა აბდულაბეგისათა და იწყეს სრო-
 ლაი ზარბაზანთა და ყუნბარათა და უფროს ეკლესიათა მი-
 მართ. შემოიკრიბნა მეფემან ირაკლი სამეფოდაგან სპანი და გა-
 ნამაგრნა ტფილის მსახლობელთა სახლთა ზღუდენი და ქუჩანი
 და აქვნდისთ შათდამი ბრძოლა მრავლგზის. შემდგომად მოვი-
 და სპა დიდი იდუმალ დალისტნით და შემოვიდნენ რომელსა-
 მე მაგართა ადგილთა, ესე იგი ტყეთა საგურამოსათა. სუნა რა

ესე მეფემან, წარუგზავნა მათ კაცი და სოხოვა შერიგება და
 შველა წინაღმდეგომთა მათზედა და ოლუთქვა საკმაოდ ჯილ-
 დოცა, ხოლო მათ არა უსმინეს, არამედ წარვიდნენ და წარ-
 ილეს სოფლებთაგან მრავალთა მოძრავინი საქონელნი უშრავ-
 ლესნი. ამისმან მცნობმან მეფემან ირაკლი, რაიცა შესაძლე-
 ბლებელ იყო, დაუტევა მუნ სპანი და თავად მათდა ჰყო მუხ-
 რანის ბატონი თავადი კოსტანტინე ბაგრატიონი და თავადი
 ჯიმშერ ჩოლაყოვი. ხ არა განისვლებოდა ხიდსა ზედა, რამე-
 თუ იყო იგი ხელთა შინა ციხეთა მცველთათა, არამედ გან-
 ვიდა მეფე მდინარესა მტკვარისასა ნავით და ეგრედ გნასხნა
 სპანიცა თვისნი და განუდგა უკან ლექთა მათ, ხოლო გზასა
 ზედა შემოიკრებდა სოფლებთაგან სხვათაცა სპათა, ეწივნენ
 ხისიყს, ეკვეთნენ, მოსრეს, მოსტყვევნეს სრულიად წარლებუ-
 ლი იგი მოძრავი საქონელი და განერჩენ ლექთა მათგან დი-
 დად მცირენი. ხ მაშერალთა იწყეს რა განსვენებად, მასვე
 დღეს შემდგომად რამდენისამე სათისა და დაესხათ თავს დიდი
 სპა ლექთა და იქმნა ბრძოლა ძლიერი, გარნა შეწევნითა მლეთი-
 სათა მათცა მსგავსადვე მათთა სძლიეს და იქმნა მას დღესა
 ორგზის ესრეთი ძლევა და წარმოვიდა მეფე ტფილისადვე. ხო-
 ლო მოისმა რა ესე ამბავი ტფილის და სცნეს მცველთა მეტე-
 ნის ციხისათა, ეზრახნენ მაშინვე მიცემად ციხისა მუხრანის ბა-
 ტონს კოსტანტინე ბაგრატიონსა და ჯიმშერ ჩოლაყოვს და
 მისცეს კლიტენი ციხისანი. ხ მათ წარუგზავნეს მეფესა მუნ
 მომავალსა და მიართვეს გზასა ზედა კლიტენი იგი ტფილისით
 რამდენსამე ვერსხე. ხ მეფე შემოვიდა ტფილის ძლევა შემო-
 სილი და მხიარული, აღილო სხვანიცა ციხენი და შესცვალა
 ყოველი მის ეამისა აღრეულობა შშეიღობად. ხ მეტენის ეკ-
 ლესია, რომელიცა აქვნდათ მცველთა მათ ციხისათა მაჰმადი-
 ანთა სამბარდოროდ, ამან მეფემან ირაკლიმან ახლადა ჰყო სახ-
 ლიად ღვთისადვე. ხ მეფესა თეიმურაზს მრავალსა კეთილსა
 უყოფდა და პატივს სცემდა დიდად სპარსეთსა შინა სიძეი თვი-
 სი აღილშა და მიანიჭნა მრავალნი ნივთი ოქროსა და ვერც-
 ლისანი და ძვირფასნი თვალნი და მარგარიტნი და იყო სპარ-

სეთია შინა ვიდრე ორ წლამდე. გარნა შეემოხვა მწუხარებაცა
 მრავალი მიზეზითა ამით, რამეთუ ეწინააღმდევება ძმა თვისი
 იბრემშა აღილშას, შეიქრიბნა სპანი და იქმნა ძმათა ამათ შო-
 რის ბრძოლა. სძლია იბრემშამ აღილშას და მიიღო თვით
 ისრემშამ ტახტი სპარსეთისა. ამისთვის მიეცა მეფე თეიმურაზ
 მრავალგზის განსაცდელთაცა დიდთა, გარნა ღმერთმან დაიც-
 ვა მშეიღობით. დაკარგა სიმდიდრენი უმრავლესნი ნივთი სი-
 ძისა თვისისაგან მინიჭებული, გარნა მოვიდა მშეიღობით ქვე-
 ყანასა შინა თვისისა და მიათვალი ძემან თვისმან მეფემან ირაკ-
 ლი სამეფო თვისივე შრომითა თვისით მშეიღობით დაცული.
 წელსა ჩლნგ წარვიდა მეფე თეიმურაზ ერევანს და ჰყო ბრძო-
 ლა ერევნის ხანის მაჰმადხანის მიმართ თანმყოფობითა ძისა
 თვისისა მეფის ირაკლისათა და ძლეულ ჰყო მამადხან და დას-
 ვა მუნ ნებისა თვისისა ხანი და მოვიდა სამეფოდ თვისად ძლე-
 ვა შემოსილი თვესა ნოემბერს. ამავე ფეხერვალს წარვიდა ძი-
 თურთ თვისით მეფე თეიმურაზ ყარაბაღიდ და ჰყო ფანაბანისა
 მიმართ ბრძოლი, რომელი იყო მამა აწინდელის იბრემშანი-
 სა, ესე იგი შეშის ხანისა და ძლეულ ჰყო იგიცა და მოვიდა
 ძლევა შემოსილი სამეფოდ თვისად. მეორესა წელსა თვესა
 ფეხერვალსა წარვიდა მეფე თეიმურაზ ძითურთ თვისით კერ-
 ძმისა რომელსამე მახლობელ დალისტნისა დასამორჩილებლად
 მათდა, ვითარცა აქვნდათ ძველთა მეფეთა, გარნა ძლეულ იქ-
 მნენ მუნ და დაშონენ ქართველნი უმრავლესნი სიკვდილით
 და ტკუნეობით და უფროსად მოშოთობისაგან მდინარესა შინა
 ალაზნისასა, დაშონენ თვით არქიერნიცა, რამეთუ იყო საქარ-
 თველოსა შინა განწესებულ სკლა არქიერთაცა ლაშქრობასა შინა
 სხვათა უფროს გამხნობისათვის. გარნა შემდგომად ამისსა უფ-
 რო ძეირად და იყვის დროსა მას სკლა არქიერთა. თვით მე-
 ფესა ირაკლის ესრედ გაუჭირდა წყალსა მას შინა ესრედ, რო-
 მელ ძლივლა განერა მოშოთობისაგან. ხ მსახურა დროსა მას
 თავადმან პაპა ვაჩნაძემ, რომელ ღმერთს გარდა შემწეობითა
 მისითა განერა მოშოთობისაგან. დაშოა უცხენოდ მეფე ირაკლი
 და მიართვა ცხენი ხისიხელმან ვინმე სახელით დავით ბოსტა-
 შვილმან. მოვიღნენ ტფილისად მწუხარენი მეფენი. ამავე გა-

ზაფხულს მოვიდა დიდითა სპითა სპარსეთსა შინა მყოფი კონ-
 ცულად აზათხან და დადგა მახლობლად ერევნისა. მაშინ წარ-
 გზავნა მეფემან თემურაზ ძე თვისი მეფე ირაკლი სპითა და
 მივიდა ქსეტა და დასდგა მამულსა შინა ერევნისასა რომელ-
 სამე ადგილსა. ხ' სპათა შინა მეფის ირაკლისათა ზაფხულისა
 გამო ანუ სხვითა სხვათა რითამე მიზეზითა მასა ზედვე გაჩნდა
 სენი რაიმე და იქმნენ მრავალნი სნეულ და ამით შემცირდა
 დიდად სპა მეომარი და ქსმათ რა ქართველთა სპათა ეგო-
 დენ სიმრავლე სპათა აზათხანისათა, დაეცათ შიშიცა. გარ-
 ნა მეფე ირაკლი განამხნობდა მათ ყოველთა იმედითა ყოვლი-
 სა შემძლებელისა მღვთისათა და ეტყოდა მათ: არღარა ვართ
 ჩვენ შემძლებელ ლტოლვისა, რამეთუ მით ჩვენცა მოვწყდე-
 ბით და სახლეულნიცა ჩვენნი მიეცემიან ტყვეობასა და ამის-
 თვის აღვირჩიოთ სიკვდილი პატიოსნად და აღუთქმიდა მათ-
 თანა დათხევასა სისხლისა თვისისასა და ესრედ განემზადნენ
 ყოველნივე ბრძოლად. სმენოდა რა მოსკლაი მეფის ირაკლისა
 აზათხანს უფროსად განრისხებული მოვიდა მასზედ ქამსა დი-
 ლისასა. სცნა მეფემან და რაოდენ შემძლებელ იყო. განამზა-
 და ამანცა სპა, გარდახდა მეფე თვით ცხენიდამ და თვით სხვა-
 ნიცა და იქმნენ ყოველნივე ქვევით. მოვიდა სპა იგი დიდი
 ამათზედა და იქმნა ბრძოლა ძლიერი, ხოლო ერთი ივლანი
 მხედართმთავარი ვინმე წინმძლოლითა მხედრობათათა მორბო-
 და და ზახილით კითხულობდა მეფესა ირაკლის, თუ რომელი
 არს და ხელთა ებყრა შუბი საძგერებლად განმზადებული. ხმა
 უყო მეფემანცა ესრედ: მე ვარ. მოვიდა ივლანი მასზედა. ხო-
 ლო მეფემან ირაკლი ჰქონა თოფი და წამსვე მოკვდა. არა მის-
 წივა ხანი დიდი და იძლია აზათხან და გაიქცა სპა მისი. მა-
 შინ დაერიცენენ შიგ სპა ქართველთა და ვინ იცის ერთი რამ-
 დენთა წარიქცევდა. მრავალნი მოსრნეს, მრავალი ტყვე ჰყვეს
 და იქმნენ დიდად შოებულ მრავალთა ოქრო ქსოვილთა ფარ-
 ჩათა კერილთა თუ უკერულთა, კარავთა, საფენთა, ცხენთა,
 ჯორთა და აქლემთა და მრავალთა სხვათა ნივთთა. თქმულ
 არს ესე თვით მეფის ირაკლისაგან და სხვათა მუნ დამსწრებ-

თა თორმეტ გზის უმრავლესობა მას დღეს სპათა აზათხანისა-
თა სპათა ზედა ქართველთასა. იყო ყოვლად ბრწყინვალე ესე
ძლევა ივლის ოცდახუთს. ხოლო მეფემან ირაკლი განაგნა
საქმენი ერვნისანი და წარმოვიდა ტფილისად და მამაი მისი
მეფე თეიმურაზ მიეგება ძესა თვისსა ტფილისით რამდენსამე
ვერსსა და ჰყვეს მაღლობა ღვთისაღმი და მხიარულება დიდი.
ამავე წლის მარტს წარვიდა მეფე თეიმურაზ ძითურთ თვისით
განჯას და აწუა ძლეულნი მტერთა თვისთაგან გამობრუნვნენ
ტფილისაღვე შწუხარენი. ამავე შემოდგომისა გამოვიდა სპითა
დიდითა აჯიჩალაბი მთავარი დალისტნისა მახლობელთა რო-
მელსამე კერძოსა, რომელნიცა არიან საქართველოისა. გარნა
განყოფამან სამეფოთამან და საქმეთა მსგავსთა მისთანმანვე და-
ჰკარგნა იგინი. ესე აჯიჩალაბი, რომელსა უწოდებდენ აღა-
ქიშსა, მოვიდა ტფილისხე მახლობლად ორმოცდარვას ვერს-
სა ზედა, დასდგა სოფელსა ბოლნის და იმსახურებდა მუნით
ელთა თათრისათა. მაშინ მეფემან თეიმურაზ წარგზავნა ძე თვი-
სი მეფე ირაკლი შოვნად ჩერქეზის სპათა, ვინადგან იყვნენ
ნათესავ მეფის ირაკლისა დედიდამ თავადნი ყაბარდისანი. ხ-
მეფემან თეიმურაზსაცა შეკრიბნა სპანი, გარნა უფროს მცირე
და დღესა ყოველსა გამოვიდის მხარესა მისსა და ვიღოდის გა-
რემოს ტფილისისა რამდენსამე ვერსხედ დროდმდე ბინდისა. ხ-
მეფე ირაკლი მოვიდა არაგზედ და დადგა ხევს და მუნით
წარგზავნა კაცი ჩერქეზად და სთხოვა მათ სპითა შემწეობა,
ვითარცა აქვნდა თქმულ მამისა თვისისაგან. ხ- ჩერქეზთა თავს
იდვეს და წარვიდნენ სიხარულით. მივიდა მეფე ირაკლი ტფი-
ლის და მიიყვანა სპა ჩერქეზისა. ესმა რა ესე აჯიჩალაბს აღა-
ქიშის, აიყარა მყის და წარვიდა. ხ- სტნეს რა მეფეთა წარსუ-
ლა მისი განუდგნენ ესენიც უკან და ჰყვათ სპაცა ჩერქეზისა,
ეწივნენ მამულსა განჯისასა შამქორს, ეკვეთნენ მუნ და იქმნა
ბრძოლა ძლიერი, მრავალნი მათგანნი მოსრნეს და ტყვე ჰყვეს
და წარვიდა აღაქიში დიდად ძლეული და სირცხვილეული და
მეფენი მოვიდნენ ტფილისაღვე მხიარულნი და მღვთის მაღ-
ლობელნი და გამოისტუმრეს ჩერქეზი დიდითა ჯილდოთი და

საჩუქრითა წელსა ჩდნე. მოვიდა მთავარი ავარიისა მაჟმად მუ-
 ცალი მამაი ომარხანისა მხედრობითა დიდითა დალისტნისათა,
 შემოვლო კახეთი და მოწო სოფლები რომელნიმე და გამოვ-
 ლო ნაწილი რომელიმე არაგვისა და მოვიდა მამულსა მუხრა-
 ნისასა და შემოადგა კიხესა დაბისა რომლისამე, რომელსა
 უწოდებენ მქალიჯვარს და შეამჭირვა დიდად. მაშინ მეფე თეი-
 მურაზ ძითურთ თვისით და მხედრობითა ქართლისა და კახე-
 თისათა მოვიდა შველად კიხისა მის, მყისვე ეკვეთნენ მტერთა
 მათ და წარიქცის იგინი და ძლეულ ჰყვეს და წარვიდა მუ-
 ცალი სირცხვილეული დალისტნად. შემდგომად ამისა შემო-
 ადგნენ სპანი ლეკთა კიხესა ატოცისასა, სადაც არს ეკლესია
 წმიდის გიორგისა და აქაცა მეფეთა მათ ძლეულ ჰყვეს იგინი.
 ხ იშემწევს მაშინ მეფე იმერეთისა სოლომონ პირველი. შემ-
 დგომად სხოვეა დიდისა ვედრებითა მამასა თვისისა მეფემან
 ირაკლი, რათა გამოისტუმროს იმპერიასა ამას შინაშე
 განსვენებულისა დიდისა კელმწიფისა იმპერატრიცა ელისაბედ
 პეტროვნასა ესრედ მას მიერ თხოვისათვის მტერზედ შემწე-
 რბისა, გარნა არა სუა თხოვასა ამას ზედა ნება, ამისთვის რა-
 მეთუ პირმშო ძე მეფის ირაკლისა ვახტანგ გარდიცვალა დრო-
 სა მას და არა ჰყავა სხვა მოსწრებული ძე არცა მეფესა თეი-
 მურაზს და არცა მეფესა ირაკლის. ხ მეფე თეიმურაზ იყო
 მოხუცებულ და მეფე ირაკლი ჯერედ კიდევ სიქაბუკესა შინა
 მყოფ და ამით უფრო შემძლებელ იყო მამისა თვისისაგან ხში-
 რად ჯარში ყოფისა და შრომისა. ამისთვის მეფემან თეიმურაზ
 განიზრახა და დაამტკიცა წარმოსვლა თვისი და დაუტევა მარ-
 თებელად ქართლისა ძე თვისი მეფე ირაკლი და მოვიდა პე-
 ტრებურლად. გვასმის პატივითა მიღება განსვენებულისა კელ-
 მწიფისა იმპერატრიცა ელისაბედ პეტროვნასაგან. ხ მიიცვალა
 მეფე თეიმურაზ მეორე ამავე ქალაქსა პეტრებურლს წელსა
 ჩდნებ, იანვარს ც. იტყოდიან თან მხლებლნი ამისნი მიზეზად
 დიდსა მწეხარებასა გარდაცვალებისათვის განსვენებულისა იმპე-
 რატრიცა ელისაბედ პეტროვნასა. იქმნა ძე ამისი მეფე ირა-
 კლი მეორე ორთავე სამეფოთა ზედა მეფედ, ესე იგი ქართ-

ლსა და კახეთსა ზედა ამავე წელსა იქნის კთ. ხ' მეუღლებან
 თეიმურაშ მეორისამან დედოფალმან ანნა, რომელიცა შეირ-
 თო შემდგომად მეფის ვახტანგის საულის დედოფლის თამარის,
 მეფის ირაკლის დედის მიუვალებისა, მიიღო მონოზონება და
 იწოდა ანასტასია, განა ცხოვრებდა სიკვდილამდე პალატსა სა-
 მეფოსავე ნებით მეფის ირაკლისათა. ხ' მეფე ირაკლი კეთილ
 მსახურებასა შინა იყო ესრედ ჩინებულ მოწყალე, ესრედ რო-
 მელ უფროს მიუტევის მრავალთა, ვიდრედა დასაჯის, გარნა
 დასაჯისცა, მაგრამ მწუხარებით. მშვიდ ესრედ, რომელ მრავალ-
 ჯერ გვინაბაშს განსაკუირვონი მოთმინებანი ქვრივთა და ობოლ-
 თა და მიშძლავრებულთა ნუეშინის მცემელ და შემწე, გარ-
 ნა არა წინააღმდეგომად სამართლისა. აქნდა მას შემოსავალ-
 თაგან თვისთა ხუთის თავი გარდადებულ სულიერთა საქმეთა-
 თვის, ძეირად ვინმე დაშთებოდის, უკეთუ სცნია განსაცდელ
 შემთხვეული ვინმე სიკვდილით თუ სხვარიგად მისგან შეძლე-
 ბით და შესაფერად უშემწეო და უნუგეშისცემო. ეგრეთვე
 ქორწილისა უამსა ვისამე ანუ ესე ვითარცა მარხვისა და ლო-
 ცისა და დღესასწაულობისა დიდად ტრფიალ, ესრედ რომელ
 უკეთუ სადღესასწაულოს წმინდისაცა მოვიდის ვისიმე, უკე-
 ლესიოდ არ იდღესასწაულის, თვინიერ დამაბრკოლებისა მიზე-
 ზისა. ხ' ვითარცა დღესა კირიაკესა ეგრეცა შებათსა არა და-
 კლდის წირვას თვინიერ მიზეზისა, მიიღოს წმინდა საიდუმლო
 წელიწადესა შინა სამგზის და ოთხზის მარხვათა შინა. იყო სა-
 კურველი შრომის მოყვარე, რომელ მცირეცა რაიმე ადვილი
 საქმე შრომის წარუმძღვარებლად არა იამებოდის. ჩნდა მას
 შინა სურვილი და ძეგა საქმისა მის, რაითაცა სამეფოსა თვის-
 სა ასარგებლის, სიმხნისა და მამაცობის საქმენი დროსავე მა-
 მისა მისისასა აღწერილ არს, ხოლო ნაშთნიცა აღიწერების
 ადგილსა თვისსა. ამანვე ჰპოვა მაღანი ვერცხლისა ოქროსი და
 სპილენძისა დიდითა ძიებითა და შრომითა. ამანვე ჰყო სტამ-
 ბაცა და მიერითვან ისწავეს ქართველთაცა. ამანვე ჰყო სემი-
 ნარია ფილასოფისა, რომლისა იყო რეკტორად მღვდელი ვინ-
 მე სომეხთაგანი სახელით ფილიპე, კაცი გასწავლული ვითა სომ-

ხურისა, ეგრეუა ქართულისა და ისწავეს მრავალთა მისგან და
 თვით მეფემანცა ამან ისწავა, გარნა არა სემინარისა შინა. ხ
 ოდეს გარღმოიღო როსის იმპერიას ყოფისა შინა მეორედმან
 ძმამან მეფის ირაკლისამან მეფის ძმამან საქართველოს კათოლი-
 კოზმან ანტონი ფილასოფია რუსულით ქართულად შემწეობი-
 თა ქართველის აზნაურის ყიზლარის პროთოპოპის გაბრიელ
 პეტრიევისათა, ამისა შემდგომად იყვნენ რეგტორად კაცნი გან-
 სწავლულნი ზემოხსენებულისა მის კათოლიკოზისა ანტონისა-
 გან, ვითარცა იყო გაიოზ არქიმანდრიტი, რომელიცა არს დღეს
 არხიეფისკოპოსად ასტარხნისა. ხ შემდგომად ამისსა იყო ტფი-
 ლის ტფილისის სობოროს პროთოპოპი იოანე, ხ კახეთის ქა-
 ლაქსა თელავს დავით ძე ალექსისა. წელსა ჩრდ გაილაშქრა
 ახალციხედ მეფემან ამან და ჰყავ მაშინ ფაშასა ახალციხისასა
 მხედრობა ლეკაცაცა და მოუხდათ რამდენჯერმე ბრძოლია. ხო-
 ლო უკანასკნელსა ბრძოლასა მას შინა ხვდა დიდი გაჭირება
 მეფესა და ქართველთა ესრედ, რომელ მიღრწენ ლტოლვად.
 ხ მეფემან ჩვეულებრივ ნუგეშინისცა სპათა თვისთა და მოი-
 ყვანნა გულნი მათნი სიმხნედვე. ეკვეთნენ მტერთა თვისთა,
 სძლიეს და მოსრნეს უმრავლესნი თურქი და ლეკი და მე-
 ფემან მოკლა მას ომსა შინა ხელითა თვისითა მხედართმთავა-
 რი დაღისტნისა მაღაჩინ, რომელსა უწოდებდნენ კოხტა ბე-
 ლადადცა და მოვიდა მეფე ეს სამეფოდ თვისსა ძლევა შემო-
 სილი. წელსა ჩრდოა აილო ახალციხის მამულისა შინა ციხე ხერ-
 თვისისა. შემდგომად კიდევ წარვიდა იმერეთის მეფის სოლო-
 მონითურთ ახალქალაჭად და მოუხდათ ბრძოლა და იქმნენ
 მძლეველ მტერთა თვისთა, გარნა წაღილისა თვისისა სრულ
 ყოფისაგან დააბრკოლა მეფე ირაკლი დიდმან ავადმყოფობამან
 მეფისა სოლომონისმან. ხ შემდგომად უკუდგა ხანი ერევნისა
 უსეინ ალიხან და არაბარა მოსცა ხარკი მეფესა. წარვიდა მეფე
 მას ზედა წელსა ჩრდ, დაუწყო ბრძოლა, მრავალგზის შემოებ-
 ნენ სპანი ერევნისანი ქართველთა, გარნა ნიადაგ ძლეულ იქ-
 მნენ იგინი ქართველთაგან. ხ ზამთრისა მიზეზითა აიგარა მე-

ფე და აპყარა უმრავლესნი ხალხი მუნებურნი და მოვიდა ხა-
 მეფოდ თვისად და მოიყვანა იგინიცა. ხ' გაზაფხულსა მას
 ევედრა მეფესა უსეინ ალიხან და ალუთქვა ისევ მორჩილებასა
 შინა ყოფა და თავს იდვა კიდევ უმეტესი ხარკი, უშინა მეფე-
 მანცა და მიუტევნა წინააღმდეგობანი თვისნი და იქმნა უსეინ
 ალიხან ვიდრე სიკვდილადმდე მეფისა ამის უმორჩილესი მოსა-
 მსახურე. ხ' ამან მეფემნ ირაკლი აღაშენა მრავალნი სოფელ-
 ნი და ციხენიცა და ორნი უჩინებულესნი ციხენი დიდი,
 ესე იგი ციხე ბოჭორმისა, რომელიცა ყოფილარს უწინარესსა,
 გარნა შცირე და ციხე იგი ხისხისა, რომელსა უწოდებენ სი-
 ლნაალს, რომლისაცა მიზეზით მრავალგზის ისარგებლეს ხალხთა
 ხისხისა და სხვათა მახლობელთა სოფელთა მისთათა მშვიდო-
 ბით დაცითა მტერთაგან, განახლა ქალაქისა მის გორისა
 ციხე მტკიცეთ და მშვენიერად, ვინადგან არღარა იყო შესა-
 ძლებელ ჯამაგირით განწესებულთა მხედრობათა მყოფობა,
 ამისთვის მოიგონა მეფემან ამან. წელსა ჩლოდ სამეფოთაგან
 თვისთა თვე და თვე ყოველთავე რიგით მოლაშქრეობა თავად-
 თა, აზნაურთა და გლეხთა. ყოველს თვეში უნდა წამოსული-
 ყო, ვისაც შეხვდის თავისის იმ თვის საქმაოს საზღვროთი. ხ'
 გლეხნი ნაცვლად საზღვრა ამის წამოლებისაგან თავისუფალ
 ჰყო სხვისა რომლისამე ხარკისაგან. ესენი უნდა შეყრილიყვ-
 ნენ ტფილის ანუ სხვასა რომელსამე დანიშნულსა ალაგსა და
 მას უკან ვითარ საჭირო შეხვდისთ, ესრეთ ხმარებულ ჰყვიან.
 ამათ ჰყვის თვე და თვე რიგით თითო მხედართ მთავარი ამ
 მხედარომთავართა რიცხვთა შორის ყო თვით მეფეცა და მე-
 ფის ძეი და სხვანი ჩინებულნი თავადნი. დიდად სარგებელ
 ექმნა საქმე ესე საქართველოს. ამით მოხდა მრავალგზის ძლე-
 ვა ლეკთა ზედა და ვერლარა იქმნენ ლეკნი მსგავსად უწინარე-
 სისა გამბედველ ქართლსა შინა ავაზაკობისა. იყვნენ აღვილნი
 რომელნიმე რომ არა გამოყვანდათ მუნიდამ მორიგე, უკეთუ
 არა მოუწოდიან ერთიან ჯარად.

ხ' მოვიდა აღამამათ ხან დიდითა და მრავლის ბევრითა
 სპითა, მოიწია და დადგა რამდენისამე ვერსით სოლალუდისა

მახლობლად. ხ' სოღალული არს ტფილისიდამ შვიდ ვერს.
 იყო ფრიად მწუხარე შეფე ირაკლი დიდად სიმცირისათვის სპა-
 თასა, თუმცა თან ჰყანანდა სპანიცა იმერთანი, გარნა არა ვვო-
 ნებ ორთავე სპათასა, ესე იგი ქართველთა და იმერთასა რო-
 მელ ერთისა უკანასკნელისა მხედართმთავრისა მათისა გუნდი-
 სა ყოფილიყოსმცა თანასწორ. განვიდა მეფე ირაკლი და ჰყო
 ბრძოლა მათდამი და იყო ბრძოლა ძლიერი ვიდრე ხუთ სათ
 ნახევრადმდე, გარნა მრავალ გზის უფროს სიმრავლითა მათითა
 გაბრუნდნენ მათგან ძლეულნი ქართველნი. თუმცადა იყო
 ფრიად მოხუცებული გარნა ბრძოლასა მას შინა ყოფაქცევა მისი
 იყო მრავალთა ჭაბუკთაგან სანატრელ, რამეთუ ოდესუა გაბ-
 რუნდნენ ძლეულნი მტეროაგან და მისდევდა უკან სპა იგი
 დიდი მტერთა ქვეითი და ცხენოსანი, მაშინ გაუბრუნდა მათ
 და უბრანა სხვათაცა შეტევება. გარნა ვინადგან არლარა იყო
 შესაძლებელ, ამისთვის არა სცეს ნება უამსა მას მახლობლად
 მყოფთა მისთა და თითქმის იძულებით წარმოიყვანეს წელს
 ჩლეე, სეკდემბერს ია. მეფე მივიდა არავზედ და იყო რამდენ-
 სამე ხანს მეფე მუნ სახლეულითურთ თვისისა და იყვნენ სხვა-
 ნიცა საქართველოსანი მრავალნი. შემდგომად წარვიდა კახეთს
 და წარიყვანა თან დედოფალი დარია და იყვის მეფე ოდესმე
 ტფილის და ოდესმე თელავს. ხ' წელსა ჩლევ გაილაშქრა მე-
 ფებმან ირაკლი განჯას. აზრისა ამით ვინადგან იყვნენ მუნ უმ-
 რავლესნი ტყვენი ქართველნი მოსვლასა აღამამათხანისასა და-
 ტყვებულნი და გამოიხსნა მუნ მისვლითა თვისითა ფრიად უმ-
 რავლესნი. ხ' იყო უამი ზაფხულისა და არს ჰაერი განჯისა
 დროსა მას ფრიად მძიმე და მავნებელ და იქმნა მეფე მუნვე
 სნეულ. ხ' მოვიდა სახლად თვისად მშვიდობით, გარნა გამო-
 აჩნდა სენი წყლითა მანკიერებისა და მიიცალა მით წელსა
 ჩლები, იანვრის ია, კახეთს ქალაქსა თელავს სასახლესა შინა
 თვისისა. ხ' ვითა დაუტევა მან შემდგომად სახლისა თვისისა
 მდგომარეობისა განჩინებაი, რომელიც არა ყოფილ არს იდუ-
 მალ როგორმე, არამედ განტხადებულ წინაშე ყოველთა და
 ფიცითა კელმოწერილ დამტკიცებულ საქართველოს სამღვდე-

ლოთა და საეროთაგან. ხ' იძლია თვის მოყვარებისაგან მეფე გიორგი და ეცადა იღუმალ სხვაგვარ წინააღმდეგობასა განჩინებისა მამისა თვისისასა და განსაკუთრებასა საქართველოისა საკუთრად ტომთა თვისთათვის. თუმცა არავინ იყო მკითხველ პასუხისა ძეთა მეფის ირაკლიითა, გარნა მოიწერეს იგი მათ, რაისაცა იყვნენ თანამდებ, იგეთი მოაწია აქ წერილებმან მან მაშინდელთა მესამძღვრეთა მთავართაგან. ხ' რომელიცა მოუვლინა ღმერთმან საქართველოს უაღრესი ნუგეში და მფარველი, ეს იგი იმპერატორი როსიისა, აგოს უფალმან მრავალნი წელნი და დაიცვას საქართველო საფარველსა ქვეშე მისა მშვიდობით.

ვინადგან მეფე იმერეთისა სოლომონ პირველი იყო საქართველოის ნაწილისავე მეფე და თვით დროსავე ჩვენსა მყოფ, ამისთვის ვვონებ სათანადოდ იღწერად მისთვისცა რაისამე. იყო ეს კეთილმსახურებისა ტრფიალ და სიმხნესა შინა ჩინებულ, სიმდაბლის მოყვარე და სიტყბოებით მოალერსე მხილველთა თვისთა. ამან დასაჯნა და დაამდაბლნა სამეფოსა შინა თვისსა წინააღმდეგნი მეშვიოთარნი და ქვეყნის ამრევნი გვამნი და ჰყო შშვიდობა იმერეთსა შინა. სძლია სარასკირსა ხონთქრისასა, აგრევე ლევთა დიდთა მხედრობათა შთასრულსა იმერეთად. განყარნა მუნ მყოფნი თურქნი, გარნა შეეწია ამას შინა უძლეველი მხედრობაცა როსიისა, აღმოკვეთა კნინდა ორნი დიდნი ბოროტმოქმედებანი სრულიად იმერეთს შინა, ეს იგი კაცი კვლა და მპარობა. გარნა მესამე უბოროტესი ეს იგი ტყვის სყიდვა დროსა თვისსა სრულიად უჩინო ჰყო. ხ' მიიცვალა შობითგან თვისით მყოფი წელსა თრმოცდამეცხრესა აპოპლექსით წელსა ჩლდე*), აპრილს კვ.

*.) უნდა — ჩლდე.